

# ქართული

ს ა ზ მ ა წ ვ ი ლ ი ს უ რ ა თ ე გ ი ა ნ ი

ქურთ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!...

„ ღ „

№ V

წ ე ლ ი წ ე ლ ი მ ე თ რ ე

—♦—

ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა ი. ა. მანსკეროვისა, ლორის-ძელიჭვის ქუჩა, № 28.

1891



Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа, 1891 года.

Типографія Я. А. Мансветова, Лорись-Мелик. ул., д. Мдивани.

## პატი ღია ლომი



ატაშ ნახა ლომის ლექვი  
უძატრონთ, უდედური,  
სული სორცად ეკრებოდა, —  
შეებრალა უბედური.

—  
აიუვანა, უმიძავა,  
უგამდლა და გამოსარდა;  
შესტრფოდა და შეჭიროდა,  
შეილზე ნაკლებ არ უჟარდა.

—  
მარდი, სწრაფი, თვალტანადი,  
საამური სანახავად,  
რომ დამთავრდა, ნადირობდა,  
თავს ირჩენდა თავის-თავად.

—  
ერთ დღეს ბედმა უდალატა  
და ვერდარა ინადირა;  
შინ დაბრუნდა მშეგრი და  
გატას შეჭმა დაუპირა.



მაგრამ იგრძნო ციცუნიამ,  
რომ კარგს არას მისირობსო,  
და იფიქრა: არ დამზოგავს,  
თავს ვუშველო, ისა სჯობსო!

წამოვარდა ხეზე,—ლომიც  
გამოუდგა მის დედობილს,  
მაგრამ კატა ხეზე შეხტა,  
გადაურჩა ბრჭყალსა და კბილს.

ლომი ხეზე ვეღარ შეჰქვა  
და შესძახა:—დალოცეილო!  
რატომ მეც არ დამასწავლე  
ხეზე შესვლა, დედობილო?

— მიტომ, შვილო, რომ ამ შავ დღეს  
მოჰელოდი შენგანაო!...  
თუ რომ სელში ჩაგვარდნოდი,  
დამზოგავდი შენ განაო?

სტატ



## მ უ რ ი ა

(ამბავი)

ანანაქებაა. მზე სწოავს დედა-მიწას. ისეთი ალიმული ტრიალებს, თითქო გასურებული თონე არისო. ჭაერში ბური დგას. მიწა სიცხისაგან დასუტეილია. ფოთლები შეხრუპულ შემცხნარები აკონტიალიან ხეებზედ და ბალახებზედ.

ქვიშა და მიწა მტკრის ფქვილად არის ნაქცევი. ერთს ნიავის დამვრაზედ მთელი კორიანტელი დგება. ბალახებს ხელის სისქედ ამეს მტკვერი. მგზავრებს ჩრდილშიაც ვერ მოუსვენიათ. გზაზედ ვეღარავის დაინახავთ, ეველა ჩრდილ ში იძალება. ერთი ცეკვიცეკი არსად არის, რომ მიწას ჰირი გაულიბოს და გასურებული მკურდი მოჟბანოს; არც ნიავის სული იძრის, რომ გული გააგრილოს. ეველა მიურბის საძინელს გოლვასა.

გზაზედ მხოლოდ ერთი მურია მაღლი მოჩანს; თავი მიღის დაუხრია, ცხვირი გზისთვის დაუდვია და, რაც მაღლი და ღონე აქვს, ამ პანანაქებაში მიღბის, მიეშურება. წოვჯერ შედგება, აიღებს თავს მაღლა, დაჭაუნავს ჭაერს, გაისედ-გასოისედავს აქეთ-იქით და მერე ისევ გაიძევა.

მიღბის მურია, ვიდასაც ქმებს. ღრო და ღრო დგება და მწუხარის სმით სახარლად ქმეის და ღმეის. იმისი ღმუილი ზარივით ედება მთა-ბარსა.



სამოცველი  
2023 წლის იანვრის 10 დღეს

დმუშის მურია, მირბის, არ ისტენებს, ბუქმი და უკუნებები  
მი არა სჩანს; იოგვლივ შეკრული მტვრის გორგალის მეტს  
კერაფერს დაინახავთ.

რად მირბის მურია? ვის ემებს? ან იქნება შეაშინა  
ვინძებ და იმიტომ მირბის? იქმნება იმისი მოყვლა სურ-  
დათ და სიკვდილს გაქცა?

არა, მურია შიშს არ უფრთხის. აგერა, სოფლის ას-  
ლოს რომ გაირბინა, მთელი სოფლის ძაღლები თავს  
დაესხნენ, მაგრამ იმან უურიც არ ათხოვა იმათ უეფას,  
მსოლოდ გზა აუქცია. აგერა მეტოხე ბიჭებმა ქვები  
დაუშინეს, — მურია არც იმათ მიურბის, იმს თავის  
ჯავრი აქვს. გაცსა და საქონელს გზას უქცის, ზედ არ  
ჟეთქება.

ვის ემებს მურია, ვისა?

ვისა და პატრონსა, პატრონს ასხლტა როგორდაც  
ცხვრის ფარიდამ, ცხვარი სხვაგან გაირემდეს და ის სხვა  
გზას დაადგა. ესლა პატრონს ემებს, მაგრამ სად არის პა-  
ტრონი? მიწამ ჩაელაპა, თუ ცამა, ვერ გაუგია.

მოიარა მთაბარი მურიამ, გადიარა მინდვრები, მო-  
ირბინა სოფლები და ადგილები, სადაც კი ერთხელ მაინც  
მისულა იმისი პატრონი; ქვეპარა ფეხ ქვეშ დაიგო და ვე-  
რას გახდა. პატრონის სებნაში აღარც საჭმელი ასსოვდა  
და აღარც სასმელი; ლუკმა რომ ვისმე გადაეგდო, ის უურ-  
საც არ უგდებდა, გაშმაგებული გასცდებოდა და უფრო  
გაიჩქარებდა.

ბევრის ცოფიანი ეგონა. სად თოფით გამოუდგნენ, სად  
ჰმტებით, მაგრამ მურია არცა ჟებენდა არავის და არცა



ჭევდა, უკელას ერიდებოდა და მირბოდა თავის გზაზე.  
რამდენიმე დღე-დამეს ასე, უძმელ-უქმელმა, უსვენებლივ  
ირბინა. შიმშილ-წეურვილმა თავისი ქმნა. მურიას ფერდი  
ფერდზედ მიკრა, მუხლი მოეჭრა, თვალებში სინათლე დაკარ-  
გა, ბეწვი აებურმენა. მოიღალა, მოიქანცა, დასუსტდა, მოსწეუ-  
და, ზედ გონებაც აერია.. თვალებში ლანდმა დაუწეო სლარ-  
თვა, ერთი-ორად ქჩენებოდა, ქვა—ცხოველად, ხე—კაცად.

\* \* \*

გაცოლდა მურია, გაცოლდა! ღონებ ისევ უმატა. მა-  
ლა მუხლმი და კბილმი ისევ მიეცა და ეხლა უფრო გა-  
შმაგებული მირბის მურია.

მირბის, აღარც უკან იხედება, აღარც ღმუის. ეხლა  
ჰატრონს აღარ დაქებს. თითონაც არ იცის, სად მირბის,  
ვისთვის ან რისთვის. ეს ის მურია აღარ არის, რაც წი-  
ნად ვნახეთ: თვალებ დაჭელტილი, ენა გადმოგდებული,  
კუდამომუებული—საზარელი სანახავია! მტერს შეხვდეს,  
მტერსა! აღარ ეშინიან არავისი.

რაც-კი გზაზედ ხვდება, უკელაფერს ჰებლეჯს და ჰეფლეთს:  
ქვას, ხეს, ძროხას, აღამიანს, ნადირს, — არაფერს არ ერი-  
დება, არც უფრთხება. სადაც სინათლეს დაინახავს, ისიც  
იქითქნ მირბის, ან საიდამაც რაიმე სმაურობას გაიგო-  
ნებს,— მამლის უივილს, მაღლის უეფას, წისქვილის რახი-  
რუსს, ისიც იქითქნ მიეშურება. ვაი იმისი ბრალი, ვი-  
საც მიუბალოვდება. აღარავის ინდობს, ჰებენს, ჰეცოლავს,  
ჰლომქრავს. იმახიან:— ცოფიანია, ცოფიანიო!



სოფელს თავზარი დაუცა. ეველა კარებს ჰქმის; სა-  
ქონელი დრიალით გარების, მაღლები იმალებიან. მგზავ-  
რები ხესა და ქვებს ეფარებიან, თავს იმალვენ. ვაი იმსა,  
ვინც მურიას არ მოეტიდება! ან იარაღი, ან სხვა რამე  
შეაშინებს მურიასა?

მირბის მურია, მირბის უგზოუკვლოდ. სადაც გზა  
გადუხვევს, ისიც იქითვენ გადარბის. სადაც მოელან-  
დება რამე, ისიც იქითვენ მირბის. სადღა ახსოვს  
ეხლა პატრონი! ვინ იცის, რომ შეხვდეს, იქნება დაგლი-  
ჯოს კიდევ?!

მირბის მურია, აღარც ისვენებს, არც დგება, არც წვება.  
თავში ტვინი ერევა, ჭიანჭველებსავით რაღაებიც გაურბიან  
და გამოურბიან.

აგერა წეალს ეცა მურია. წეალმა წაიღო. სან ჩაეფა-  
რება, სან ისევ ამოხნდება; ებრძეის ტალღებსა. ბოლოს  
ნაპირზედ გადის, არც იბერტევება, არც ისვენებს, მირბის  
ისევ პუდამოძუებული, ენა გადმოგდებული!

— ცოფიანი მაღლი მოვიდა, ცოფიანიო! — უვირის  
სალსი.

\* \* \*

მურია ბოლოს აკი პატრონსაც წააწედა. მურიაშ კი-  
დევ იცნო თავისი პატრონი. სადღაა ცოფიანი მურია! თვა-  
ლები გაუცოცხლდა, სისარულით კუდი აიშვირა, დაუწეო  
ლაქუცი და ლოკვა პატრონს; სან ფეხებში გაუგორდა, სან  
ჟედ აატოტდა და წემუტუნით დაუწეო ლოგა, თითქო  
ჰქოცნისო.

ძლიერ არ იპოვა პატრონი!... მურია სიხარულშია; ცოდნა თითქოს გაუაროა.... მაგრამ აი ისევ აერია თვალები, როცა პატრონის ალერის მორჩა. წინ რაღაც ჭრელი ბადეები გაებუამოება; გონება აემდგრა.

მურია ღრინავს, ჰელიოს, ტრიალებს; ჰედავს თავის კუდსა, სულიერი რაღაცა ჰერია და ეტანება და საჭრად.

კუდი უსხლტება პირიდამ,—მურია მისდევს უბან. კუდი ირგვლივ მოდის,—ტრიალებს მურიაც, ჰელიოს თავის კუდს, მაგრამ ვერ ისკერს. გაბრაზებული ქვებსა და სეპს ღრებდავს... აგერა გაერია მაღლებში და ჰელეფავს უკელას, სულ ჩალასაებ ისვრის. შიშით მაღლებს ხმა უწედებათ, წოვი სად მირბის და ზოვი სადა.

— ცოდიანია, ცოდიანია!— უვირიან მეცხვარუები.

— მურია გაცოდებულა, მურია!— ღრიალებს პატრონი. ვაიმე, ჩემო მურიავ, ვაიმე!...

თოვს იღებს სულიდამ, აგდებს შიგ ტევიას... დაიგრიალა თოვმა... მურიამ ქრთიუკი დაიწერუტუნა, ნატევიარზედ პირი იტაცა და ზედ გაცივდა.

\* \* \*

მოაგონდა პატრონის თავისი კარგი მურია, თავისი ქრთვული მაღლი. მოაგონდა, როგორ იპოვა პატარა ლეპვი, როგორ გასარდა. რამდენი სამსახური და ქრთვულობა გაუწია მურიამ: როცა წვიმდა და ქუხდა, ანა სთოვდა და ქარბუქი ტრიალებდა, მურია თვალ-მოუხუჭვი იჯდა ხოლმე ფარესის კარებზედ, იწვა თეოზედ და თვალებზედ ლული არ მოსდიოდა. მგელსა და მტერს პირში ედგა,




რამდენს შიმშილსა და სიცივე-სიცხეს იტანდა ჰატრონის  
სიუფარულით.

მოაგონდა ჰატრონს უკელა ეს, მოაგონდა, როგორი  
თავდადებული იქო ამისთვის მურია, რა ერთგულებას უწევდა!  
და თვითონ-კი რითი გადუხადა მურიასა?!

გული ეტკინა და თვალებიდგან ცრემლებმა დაუწეს  
დაპატუტით ჩამოდენა. გაუთხარა მიწა და ჩააწვინა შიგ  
თავისი ერთგული მურია.

პატრონმა მიწის აკვანში მურია ჩააწეონაო;  
იქ მოისევენა საწყალმა, იქ იქმნა იმის ბინაო.  
მიწამ გაიხსნა საკინძი, უბეში ჩაიძერინაო;  
ცამ უალერსა, და მზემა მაღლიდამ გაუცინაო,  
უქროლა მთების ნიაემა, ლრუბელმა ჩაუჩრდილაო....

თ. რაზიკა შვილი



## ମୂର୍ଦ୍ଦିନୀ



ତାହା ଫିଲ୍ସ, ମାଳାଲ୍ସ, ତୁମିନ୍ଦା  
ମୃଗ୍ଧିଲ୍-କାପି ଗାତ୍ରିନ୍ଦା ଲାହିଲ୍ଲି:  
ଶିଶିଳ୍ପି ବିଷ୍ଣୁରାଜିନ୍ଦା କାପିଲା,—  
ଚାପ୍ରେଲ ଦା ମନ୍ଦିରାଳ ତିଳିଲି.

\*\*\*

ଶୁରୁଗିତ ମନମଜିନ୍ଦା ମୃଗ୍ଧିଲ୍-କାପି,  
ଗଢାଶ ଦାମିଶ୍ଵରା ଶାଲକି ମରାହାଲି:  
ମଳିପାର୍ବତୀନ୍ଦା ମତ୍ରେଲି ସନ୍ତେଜିଲି,  
ମଳିପଦା ମଞ୍ଜେ ଅମିଶାହାଲି.

\*\*\*

ଶିଳାପାଶ ତରଫିତ ମନ୍ଦିରା  
ଲୁହନ୍ତା ମତ୍ରିରେଣ ଅଳାଲି,:  
ମନାତ୍ମେଲିନ୍ଦି ପରିଦେଇତ ଆତିରିଲିନ୍ଦି,—  
କିମି ମିଳ ମୁଖିଲେଲ୍ ଦା ଶାଲାଲି!

ଲ. ମରିଶାନ୍ତେଲି

## დ ვ თ ი ს - წ ე ა ლ თ ბ ა



VI \*)

მ ხანებში გოჩა და მაწაწევი, მიწაჩემიას მემკვიდრენი, ესტუმრნენ აღმოსაელეთის ხელმწიფეს, რომელსაც ჰყავდა ორი მშეთუნახავი სასძლო. გოჩასა და მაწაწეს ძალიან მოეწონათ ხელმწიფის ასულნი. გამართეს მოლაპარაკება იმათ თხოენაზე. აღმოსაელეთის ხელმწიფე გულკეთილი კაცი იყო, უაფი არ ჰყავდა. ამასთანევ გაევონა დიდი სიმდიდრე და დიდებული ცხოვრება მიწაჩემიასი. მათი შეიღები ძალიან სიყვარულით მიიღო და ნება დართო მათ სიძობაზე, რადგან იმათ პირობა მისცეს, აღმოსაელეთის ხელმწიფესთან დარჩენილიყვნენ და, როგორც მისი ქალების ქმრებს, მისი ძეობა ეყისრნათ.

გაიმართა დიდებული ქორწილი. მუდამ დღე ლხინი, მეჯლიში, ნადირობა, ქეიფი და განცხრომა იყო ხელმწიფის სასახლეში. აღმოსაელეთის ხელმწიფე აღტაცებაში იყო, რომ მისი სიძეები არ ჩარბდნენ თავის ქეყანაში წასელას და განზრახვა ჰქონდათ მის მემკვიდრეთ გამხდარიყვნენ. უძეობის გამო მონაქროლი მწუხარების ღრუბელი მოშორდა მის შუბლსა. მისი მოხუცებულება განედლდა იმედით.

მაგრამ თეთი დებსა და სიძეებს შორის-კი ატყდა უსიამოენება. ამის მიზეზი ის იყო, რომ მშეთუნახავებიც იმავე უსაქმობაში და ნიადაგ, თავმომაბეჭრებელს სიამოენებაში იყვნენ გაზრდილნი. ამის

\* ) იხილე „ჯეჯილის“ მე-4 ს-რი.

გამო იმათ უხასიათობის დაღი დაეტყოთ ცხოვრებაში, ყოველი მობეჭრებული ჰქონდათ, არაფერი არ ახალისებდათ გარდა ერთმანეთის ქიშიშისა და შურისა. ერთი სიტყვით ცოლებიც ქმრების შესაფერი ხასიათისანი გამოდვნენ; მაგრამ ესენი კიდევ უფრო ბოროტის ენისანი იყენენ, როგორც სწერებია უხასიათო ქალსა. იმათ დაუწყეს თავის ქმრებს შურით ლაპარაკი.

ერთხელ უმცროსმა ძმამ, მაწაწყმა, შეატყობინა თავის ცოლს, რომ ჩემს უფროსს ძმას, გოჩას, ალმასის კლიტე (გასაღები) აბარია მამისგან დატოვებული ჩენის კლდის გასაღებათო. იმ კლდეში ჩენ აუარებელი სიმღიდრე გვაქვს შენაბულიო.

— მერე შენ რა? — უთხრა ცოლმა, — ვისაც იმ კლდის კლიტე აბარია, სიმღიდრეც მისი ყოფილა.

— არა, — უპასუხა მაწაწყმა, — მამამ კლდის გაღება გოჩას მიანდო და დაკეტვა მე, უერთმანეთოთ ვერც გაეაღებო, ვერც დავკეტო. ორთავემ თანასწორად უნდა მოეიხმაროთ იქიდან გამოლებული სიმღიდრეო.


— ჰაი, ჰაი!... — უთხრა ცოლმა, — რა იცი, რომ აქამდისაც არ გაუფანტავს ის სიმღიდრე შენს ძმასა? რაკი კლიტე მის ხელშია, უშენოდაც კარგად გააღებს.

ამ გვარი ლაპარაკით ცოლმა ჩაუგდო გულში მაწაწყსა ძმაზე იჭეო და გული აუღრინა. ამას შემდეგ მაწაწყმა აიტეხა თავის ქვეყანაში წასელა. გულში ფიქრობდა, — უსათუოდ ჩემს ძმას კლდე უნდა გაეაღებინო და, თუ რამე აკლია, ძმას მოვკლავ და სიმღიდრე მოლად მე დამრჩებაო...

უმცროსმა ცოლ-ქმარმა რომ ეს გადაწყეირა, უფროსი ცოლ-ქმარი სულ სხვა რჩევას დაადგა.

გოჩას ცოლმა ერთხელ ჩაუყო ქმარს ჯიბეში ხელი და ალმასის კლიტე ამოუღო.

— უი, საყვარელო!... ეს რა მშენიერი ნიეთი ყოფილა!... ნეტავ რის მოსახმარია?



— ეგ ალმასის კლიტეა (გასაღები) ჩვენი კლიდის გასაღებად, საცა მამამ უზომო სიმდიდრე დაგვიტოვა მე და ჩემს ძმას, — უთხრა ცოლს გოჩამ.

— რატომ აქამდის არ გაგიღია და არ გინახავს?

— მამამ დაგვიგდო ანდერძათ, რომ უერთმანეთოთ არ უნდა გაეაღოთ, — უპასუხა გოჩამ.

— ჰა, ჰა! — უთხრა ცოლმა, — მაშ შენა გვონია, რომ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მარტო შენი ბროლის კოშკით დავკაყოფილდები? მე მინდა მამი-ჩემისებური დიდებული ცხოვრება. თუ ის ქონება შენ არ ჩავიგდია ხელში, არც შენთან ცხოვრება მინდა.

შეწუხდა გოჩა, არ იცოდა რა ექნა! ცოლი ძლიერ უყდარდა და მის მოშორებას ისევ ძმის ღალატი არჩია. მეტი ღონე არ არის, ძმა უნდა მოვკლაო, — გადასწყვიტა გულში უფროსმა ძმამ. ამის შემდეგ აიტეხს სიძეებმა შინ დაბრუნება. აღმოსავლეთის ხელმწიფემ ჩამოართვა იმათ სიტყვა, რომ უსათუოდ ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ ცოტას ხანს შემდეგ, და გაისტუმრა თავის ქალები დიდებულად. გააყოლა დიდი რაზმი ხლებულთა და თან გაატანა მზითვად ურიცხვი თეალ-მარგალიტი.

ძმები მოდიან შინ და ერთმანეთის ღალატით გული აქვთ საესე. მზეთუნახავები-კი ფიქრობენ, როგორ მოვაგდაროთ, რომ ძმას ძმის სიკვდილი გავაბეჭდინოთ.

მოვიღნენ შინ, მათი ქვეშეერდომები სულ ერთიანად გამოეგებნენ და მოულოცეს მიწაჩემიას მემკვიდრეთა ბედნიერება. გოჩას და მაწაწესა ყოველივე შშეენიერად დახედათ კოშკში გაწყობილი. გაიმართა ლხინი და მხიარულება. ქმრებმა აიყვანეს ცოლები კოშკის სანათურებში, უნდოდათ ქნევნებინათ პატარძლებისთვის თავის სამფლობელო და ყოფა-ცხოვრება. გოჩამ და მაწაწესა რომ სანათურებიდან გაღმოიხედეს, თეითონევე გაუკეირდათ თავიანთი სამფლობელო სოფლების წარმატება. იმათ სხეაგან ყოფნაში მათი ქვეყანა სულ გამოცელილიყო.

მცხოვრებლებს ქოხების მაგიერად ბროლის კოშკები გაეცილება  
ყოველგან ქარხნები მუშაობდა. მაღალ ბუხრებიდან ამონადენი კომ-  
ლი ღრუბლებათ იყო ცაზე გადაკრული. მთელი ის მხარე რეინის  
გზებით იყო დაქსელული. მდინარე რურუზე დიდი ცეცხლის გემე-  
ბი გაეჩინათ. უწინდელ ლარიბ სოფლების მაგიერათ, საცა გაიხედეს,  
ყოველგან დიდი ქალაქები მოჩანდა. ხალხი, მშენიერად ჩატყულ-  
დახურული, ზოგი ქარხნებში მუშაობდა, ზოგს მინდვრებზე ორთქ-  
ლის გუთნები ჰქონდა გაბმული, ზოგს წყლის პირად მოჰქონდა სა-  
ქონელი და გემებს ტეირთავდა უცხო ქვეყანაში საქონლის გასაგ-  
ზავნათ. ერთი სიტყვით მთელი ის კუთხე სდულდა და გადმოდიოდა  
სიმღიდრითა. არაენ იქ უქმად არ იჯდა, ყველა მუშაობდა, ყველა  
საქმეში იყო.

ძმებმა რომ ეს ამბაეი ნახეს, მეტად გამხიარულდნენ, ეფონათ,  
ცოლებსაც სასიამოენოთ დაურჩებოდათო, და თავმოწონებით უთხრეს:

— ი ეს მდიდარი, ბედნიერი კუთხე ჩვენი არისო!

მაგრამ დახე იმათ გულ-ვესლიანობას. აინუნშიაც არ ჩაიგდეს  
ასეთი სანახაობა.

— ერთისა იყოს კარგია და ორს რა გაგეხვდებათო, — ჩაილაპა-  
რაკეს ქმრების გასაგონათ.

ასეთმა უკმაყოფილო პასუხმა ცოლებისამ ძმები კიდევ უფრო გა-  
ბრაზა და მომეტებული მტრობა გააღვიძა მათ გულში ერთმანეთზე.

## VII

გოჩამ და მაწაწერა სხეა-და-სხეა კუთხე დაიჭირეს საცხოვრებ-  
ლათ ბროლის სასახლეში. ერთმა აღმოსაელეთის კუთხე აირჩია,  
მეორემ დასაელეთისა. იმათ ცალ-ცალკე ჰქონდათ სადგომი, თუმცა  
იჯრას ერთად სჭამდნენ და საქმეებსაც ერთად განაგებდნენ.

ერთს სალამოს, როცა გოჩა თავის ცოლიანა ცალკე ოთხში  
ისხდნენ, ქალმა უთხრა ქმარს:



— ამ დღეებში ერთი დიდი მასპინძლობა უნდა გადეინადოთ. ქმებმა დაყარეთ ხმა, რომ კლდის გალება გინდათ მამის ნანდერძე-  
ების ქონების სანახეად. მასპინძლობის განკარგულება შენს უმცროსს  
ძმას მიანდე. მაწაწყი და მისი ცოლი რომ სანოეაგის შზადებაში  
იქმნებიან, ჩევნ წინდაწინ ავიდეთ კლდესთან და იქ სამეფო კარები  
დაესცეთ. წინა ღამით მიეიპაროთ კლდესთან და გავალოთ. მაწაწყი  
და მისი ცოლი სასახლეში იქმნებიან ძირსა, რას შეკვირცხობენ?...

„რომელიც უფრო ძეირფასი თელებია, იმას ჩემთვის ავიღებ და  
მაუწალავ. მეტე ისევ დაკეტე, ვითომ აქ არაფერია. მეორე დღეს სა-  
მასპინძლო სურსათს და ყოველ ნაირს სანოეაგეს მაწაწყი ამოგზავ-  
ნის კლდესთან. დაპატიჟებულმა ერმაც იქ უნდა მოიყაროს თავი;  
მაგრამ სანამ პურის ჭამათ დაესხდებოდეთ, კლდე გავალოთ; ერს  
უზრიენოთ ჩეენი სიმდიდრე. ყველანი ისიამოენებენ. მაწაწყი თავის  
მეუღლით ხომ იქვე იქნება. შენ მაშინ გვერდს ამოუდექი; გატენი-  
ლი თოფი ხელში დაიჭირე და დაუწყე იმ დროს ჩხიკინი, როცა  
შენს ძმასა და მთელს ერს ყურადღება ექმნება მიპყრობილი კლდის  
სიმდიდრეზე. აი, ამ დროს, ვითომც უნებურათ, დააცემინე ჩახმახს,  
თოფი გავარდება და ტყეია შენს ძმას მოხედება გულში. როგორც  
შენი ძმა წაიქცეს, მაშინვე მორთე ყვირილი, ტირილი და თავში  
ცემა; იძახე: „ვაი ჩემს უბედურებას! ძმა უცაბედათ მოეკალი, აშ  
რაღათ მინდა ან ქონება, ან სიცოცხლე-თქო“.

„ყველანი დარწმუნდებიან, რომ შენ უბრალო ხარ; ვერაენ  
ეჭვს ვერ აიღებს. იტყვიან: საწყალი მაწაწყი თოფის წერა ყოფილა  
და მისგანაც მოკვდაო. ქვეყნის თვალში უბრალო გამოხეალ და  
მთელი სიმდიდრეც მარტო შენ დაგრჩება“.

— უჰ, ეგ რა კარგი ხერხი მოიგონე! — აღტაცებით შეჰვეირა  
ვოჩამ თავის ცოლს და სიყვარულით გადაჰკოუნა.

მეორე დღეს მართლაც გოჩამ გამოუცხადა მაწაწყსა, რომ ერი  
უნდა მოეიპატიჟოთ, კლდეც გავალოთ და პურიც კლდის ძირაში  
ვჭამოთ. მე წინდაწინ ავალ კლდის ძირათ და იქ სამეფო კარებს  
მოვაწყობინებო. შენ და შენმა მეუღლემ მასპინძლობის თავდარიგი

ჰქმენით; შემდეგ ყოველივე სანოეაგე და სამასპინძლო მორთულობა ზევით ამოგზავნე, შენც თან ამოკუევი და, სანამ მეჯლიშს გაემართავდთ, კლდე გავაღოთო.

მაწაწყი დაეთანხმა თავისის უფროსის ძმის ჩჩევას, რადგან უზნობით არ ჰსურდა მამის ანდერძი გაეტეხა. დაპატივა ერი და მასპინძლობის მზადებას შეუდგა. ამ დროს მიეიღა ცოლი მაწაწყთან და უთხრა:

— რომ იცოდე, რა კარგი დრო გაქვს, უფროსი ძმა საუკუნოთ თავიდან მოიშორო! მე ძალიან კაი საწამლავის შემზადება ვიცი. მხოლოდ შენ მე მითხარი მირთმევა: როცა შენმა უფროსმა ძმამ ან საჭმელი ან სასმელი პირეელად მოითხოვოს, შიგ ჩაეუყრი საწამლავს და მთელი ყოფა-ცხოვრება შენ დაგრჩებაო. აბა ეინ რას შეიტყობს ჩეენის მოქმედებისას? ხალხი იტყვის: ალბათ გოჩა სიკედლის წერა ყოფილაო და შენ მის თვალში მართალი იქმნები.

— ძალიან ჭყვიანი აზრი არ მოგხელია თავში! — ალტაცებით უთხრა მაწაწყმა თავის ცოლს და სიყვარულით გადაჰკოცნა.

მეორე დღეს კლდის ძირას მოგრივდა ხალხი. იქვე მინდვრათ ლამაზი თალარი იყო აგებული. შიგ ისხდენ გოჩა და მისი მეუღლე. ისინი ელოდენ მაწაწყსა და მის მეუღლეს, კლდე უნდა გაელოთ. დიდებულ თალართან გაიშალა სეფა. შიგ გააწყევს სუფრა ყოველნაირი სანოეაგითა. ერი სეფაში უნდა დამსხდარიყო. მესაკრავენი და მომღრალნი ატყობინენ მსმენელთა ყურს მშევნიერი მუსიკით და სიმღერით. ამ დროს მოეიღა უმცროსი ძმა, მაწაწყი, თავის მეუღლიანად. ერი პატივისცემით მიევება მათ. უფროსმა ძმამ ისინი თალარში მიიწევია. სიცხე იყო, ყველა ცდილობდა, გული გაეგრილებინა სასმელებითა. რადგან იმ დღეს მასპინძლობის განკარგულება უმცროსის ძმისა იყო, იმან უბძანა თავის ცოლს, გრილი სასმელები მოეტანინებინა. რძალმა გოჩას დაუდგა წინ იაგუნდის თასით ციფი შარბათი, სხევებს-კი ბროლის ჭიქებით მიართეა. შარბათი იყო მეტად გემრიელი. უფროსმა ძმამ უცემ გადაჰკრა იაგუნდის თასი. შემდეგ წავიღნენ კლდის გასაღებათ. მათ უკან გაჰყვა იმ კუთხის



ერი. გოჩამ გააღო თუ არა კლდე, თეალ-მარგალიტისა და ოქრო-ცერცხლის შუქმა თეალები დაუბნელა ყველას.

— ეს რა მოჩევნება ენახეთო? — დაიწყო იქ მაყურებელმა გან-ცეიფრებით კითხეა, — მთელი ქვეყნის სიმდიდრე აქ ყოფილა დაგროვებულიო!

კლდეში სხვათა შორის მრავალ - ნაირი ძეირფასი სამხედრო იარაღებიც ეწყო დაფერილ-დაკამპკამებული. უფროსმა ძმამ აიღო ერთი თოფი და სთქვა: მე ეს თოფი ძალიან მომწონსო, მერე და-უწყო იმ თოფს ხელში ტრიალი. უცუათ გაეარდა თოფი, რომელ-საც ტუჩი მაწაწყისკენ ჰქონდა მიქცეული, და მაწაწყი წაიქცა. ხალ-ხი შეძრწუნდა. არაეინ ელოდა ამისთანა შემთხვევას. გოჩამ მორ-თო ტირილი: — „ვაიმე, ძმა აკი მოვკალიო“! — და თოფი ხელიდამ გააგდო.

მაგრამ ამ დროს იმანაც იგრძნო, რომ გულ-გვამში რაღაც ცეცხლი შემოედეა: — მიშველეთ, ტანში ცეცხლი მედება! — მწუხარე-ბით დაიკვნესა გოჩამ. ცოლი მიეარდა მას და ყოველნაირ საშუა-ლებას ხმარობდა, რომ რასმე მოხმარებოდა. ორთავ მომაკვდავს თავს დაახეიეს საუკეთესო მკურნალნი, მაგრამ ვერა გააწყეს რა. მეოთხედ საათს შემდეგ კლდის საუნჯის წინ ორი ძმა, გოჩა და მაწაწყი — იწვენ უსულოდ.

ახლა-კი იგრძნეს რძლებმა, რომ ეს მათი გულ - გესლიანობის შედეგი იყო, მიეარღნენ ერთმანეთს გაცოფებულნი და სანამდის ერთ-მანეთი არ გაარჩევს, არ მოეშვენენ.

ამ სახით ძმებმა შურით მოკლეს ერთმანეთი და მათ თავს დააკვდენ მათივე შურიანი ცოლები. მოისპო მიწაჩემიას შთამო-მავლობა.

— ეს რა უბედურობა მოხდა? — თქვა ერთმა.

— ლეთის სამართალი მუშაობს, — თქვა მეორემ.

— ეგ სულ ძეელი ცოდვების ბრალია, — წამოიძახა მესამემ.

— რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც ლმერთმა ბედი მოგვეცა. ამდენს ქონებას პატრიანი აღარ ჰყავს. რადგან ამ კუთხის მთა და ბარი ჩვენ

გვიჭირავს, მაში მიწაჩემიას სამკიდროც ჩეენი უნდა იყოსო,—დაიყეო-  
რა მეოთხემ.

— გასუმდით, ღმერთს ნუ აწყენინებთ უვნური ლაპარაკითა!  
შეასმინა ხალხს ღვთის-წყალობამ, რომელიც აქამდის განზე იყო  
გამდგარი და თითქოს არაეითარს მონაწილეობას არ იღებდა.

— თქვენ არც ამ საუნჯეში, არც ამ საყოფელ-საცხოვრებელ-  
ში წილი არა გაქვთ. უქმად შეძენილი ყოველთვის უქმად გაიკლის.  
მაგის შეძენაზე თქვენ ხომ ოფლი არ დაგილერიათ, მაში თქვენთვის  
მაგას არც გემო ექმნებაო. მხოლოდ შრომით და ოფლით შენაძენს  
სიმდიდრესა აქვს გემო. მარტო თქვენი მარჯვენით მოყენილი პუ-  
რია გემრიელიო.

თქვა ეს, მიეიდა და მიხურა კლდის კარები, ჩაკეტა ალმასის  
კლიტითა, მერე მოიქნია ეს კლიტე, რურუს მდინარეში გადააგდო  
და წამოიძახა:

— ნუ გინდათ სხეისი ნაარმევი, თქვენი ნაოფლარიც გეყოფათ.

— რაც მართალია, მართალია! — დაიყეირა ერთი ხმით ხალხ-  
მა და დაბრუნდა ისევ თავის სოფლებში, — ღმერთმა გაუმარჯოს  
ღვთის-წყალობას, კურთხეულ იყოს მისი დედ-მამაო.

\* \* \*

მას აქეთ ტიტელი კლდე ისევ ტიტელად დარჩა. ის ბროლის  
კუშები დაინგრა. ის სასახლე ხაესმა და სურომ შემოსა. შიგნით მისი  
დიდებული ოთახები ჩაიქცა; ზედ შამბი ამოვიდა. მის ნანგრევები  
გველ-ბაყაყმა და ხელიკებმა დაიწყეს ბუღობა. წალკოტში უდაბური  
ტყე გააზარდა, საცა დღეს მგლები ღმუიან. კოშკის ნანგრევებზე  
ლამის ფრინველი ჭოტი მუდამ მწუხარე ხმით თავს დაჰყიეის...

მაგრამ იმ ქვეყნის ხალხი-კი თან-და-თან მრავლდება, მდიდრდე-  
ბა და წინ მიდის, სანამ შრომაზე და სწავლა-გამოცდილებაზე ხელს  
არ აიღებს.

## მ ხ დ ა დ ი ი

(დემონტოვას\*)

(თავისუფალი თარგმანი)



არუნი გარბის უსწრაფეს  
გაჭრილ-გამფრთხალის შეელისა,  
გარბის ეთ ტყისა ნადირი,  
ეთა კურდლელი ველისა.  
ზარ-დაცემული მშიშარა  
მიქროლაქს ნიაფ-ქარივით,  
ბრძოლის ველს სტოვებს, სად ჩერქეზთ  
სისხლი წამსკდარა ლეარივით.

მამა და ორი ლეიძლი ძმა  
იქ, გაგმირულნი ტყეიითა,  
თავისუფლების გულისთეის  
შემკედარნი ვეშაპიეითა,

\* ) ლერმონტოვი რუსთის გამოქვენილი მწერალი იყო. ამ წელს შესრულდა სწორედ ორმოცდა ათი წელიწადი, რაც ლერმონტოვი გარდაიცვალა, და მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდლესასწაულა პოეტის გარდაცვალების დღე.

ჩვენთვისაც უცხო არ იყო ეს პოეტი. ლერმონტოვი რამდენჯერმე იყო ჩვენ მხარეში და ძლიერაც შეიყვარა ეს ქვეყანა. მეტადრე უყვარდა კავკასიონის დიადი ბუნება, მისი თვალ-აუწვდენელი მთები და თვალ-ჩაუწვდენელი ხევები. და უკეთესი, რაც კი დაუწერია სახელმძღვანს პოეტს, სულ ამ ჩვენ ქვეყანაზე აქეს ნაწერი, სულ ამ მთის ხალხის ცხოვრებიდგანა აქეს აღებული. აი ეს ლექსიც — „მხდალი“, რომელსაც აქ წაიკითხავთ, ამ მთის ხალხის ცხოვრებიდგან არის ნაწერი, როგორც თქვენ თითონ დაინახავთ.

ლერმონტოვის ლექსი ისეთივე დიადი, მძლავრი და ტურფაა, როგორც დიადია, მძლავრი და ტურფა ის ქვეყანა, რომელიც პოეტმა ისე ძლიერ შეიყვარა. დედ.

მტერ-ბუქში ყრიან მტერისა  
ფეხებ-ჭვეშ ჭერეხიეთა.  
მათ სისხლი ისევ გადმოსჩქეფს,  
თხოულობს შურის გებასა...

ჰარუნმა ვალიც, სირცეილიც  
მიკერძა დაეიწყებასა  
და, უთოფ - იარალოდა,  
ცდილობს მტრის დაშორებასა.

\* \* \*

დღე მიიღია. დაბნელდა  
ქვეყანა კიდის - კიდეთი,  
შავს კლდე-მთებს თავი შეუკრავთ  
თეთრის ღრუბლების რიდეთი.  
გრილმა ნიავმა დაპბერა  
აღმოსავლეთით ბარათა,  
უზომ-უძირო ლაქვარდში  
მთეარე მოცურავს წყნარათა.

მთლად მოქანული ჰარუნი  
გზაზედ წამს არა დგებოდა...  
მთეარისა შუქზედ ნაცნობი  
შორით სოფელი ჩნდებოდა.  
ჩუმად შეეიდა სოფელში,  
ყველასგან შეუმჩნეველი;  
ირგელივ სუფევდა სიწყნარე,  
დუმილი დაურღვეველი.

ოფლი და სისხლი ალაზანულ  
სახეზედ ერთად ჩამოსდის;  
ბრძოლის ველიდამ უენები  
სახლში დაბრუნდა მხოლოდ ის.



ମେଳନବଳୀରେ ସାଥଲୀରେ ସାର୍ଜମ୍ବେଲିଶି  
ଶୁଣ୍ଟି ତ୍ୟାଗରେ ମରିପୁରା ତ୍ୟ ଆହା,  
ଯେତେହି ହିନ୍ଦ ହାତଗା, ଶିନ୍ଦ ଶେଷୁଲା  
ମନ୍ଦାଲମା ଆହ ଲାଗୁବାହା.

ଦେଖିମା ଶେଷୁଲି ଏହି ପରିଚା,  
ହିନ୍ଦ ପ୍ରାଣ, ପ୍ରାଣରେ କ୍ଷେତ୍ରବନ୍ଦା...  
ମାର୍ତ୍ତିତା - ମାର୍ତ୍ତିତ୍ୟା ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ  
ଶାର୍ମିଳିତ୍ୟେତ ହିନ୍ଦମାଦ କ୍ଷେତ୍ରବନ୍ଦା.

\* \* \*

— ଭାବ ଆହୁ ଅଲଲାନି: ଅଲହାଦ ଶେନ  
ଅନ୍ତର୍ମାଣିତ ମିଳାଦାରାମ  
ଦା ସାଶାର୍ମିଳିତ ମତ୍ରକ୍ଷେତ୍ରବନ୍ଦ  
ଦାଗିପ୍ରାଣ, ଦାଗିପ୍ରାଣରାମ!  
ରାମ ମେତ୍ରପ୍ରାଣ ଆଶାଲେ? ମିଳାଦାରି,  
ମିଳାଧ୍ୟ, ନୁଲାର ପ୍ରୋତ୍ସବ;  
କୋଠ ମନ୍ଦରାଜ, ଶୁଲି ଅମନ୍ଦିଲେ,  
କଲୋପ-କଲୋପିତା ପ୍ରମିଳାନନ୍ଦ!...

ଦା ଆ ସିତ୍ତପ୍ରେସରାନ ମନ୍ଦୁପିଲ  
ମିଳନେଲ୍ଲେବୁଲି ତ୍ୟାଗେବି  
ରାଜୁପ ମିଳିତ ଗାଢ଼ିର୍ମୁନିନନ୍ଦନ୍ଦନ,  
ପିତ ପ୍ରକଳ୍ପିଲେ ନାକ୍ଷେତ୍ରକିନ୍ତାଲ୍ଲେବି.  
ହିନ୍ଦମାନିହିନ୍ଦ, ହିନ୍ଦମାନିହିନ୍ଦ  
ତୁମିନି ନାକ୍ଷେତ୍ରାଦ ମନ୍ଦରାନିବା;  
ସିନ୍ଦଲି ଅଲ୍ଲାରା, ଅଲ୍ଲାଲିଦା  
ପ୍ରିଣ୍ଟାଜ ପୁଲି ମନ୍ଦମାରିବା.

— ଏହି ଲାଙ୍ଘ ମେଲାରାଦ ପିଠରମାନିତ  
ମତ୍ରକ୍ଷେତ୍ରାନ ଲାଙ୍ଘିତ ଦା ଲାମିତା,  
ମନ୍ଦମିଳ୍ଲେ ମନ୍ଦିବି ଧରମାଲାଶି  
ମନ୍ଦୁପ୍ରେସରାନ ମାମିତା.

ମେ କି ଗାଦାଏରିବି, ଶ୍ରୀବାରିଦ୍ଦି  
ଦାଦୁରୁଷିଲ ତ୍ରୟ ଦା କାଲ୍ପନି;  
ହରଗୁରୁପ ଡ୍ୟେନିଲି ନାହିଁବି,  
ଯିମାଲ୍ପନ୍ଧି ହାଲ୍ପନି.

ମିଶ୍ରିବାଲ ମତ୍ତେବନି ନାହିଁବି  
ଶ୍ରୀକିଂକିରି ଗାମନ୍ଦ୍ୟ ନାହିଁବି,  
ଅର ଦାବ୍ୟେରିଲିଲ ଦାସିଲିଲୁହି  
ଫ୍ରେଞ୍ଚେବିତ କଲିଦାନ ଶାର୍ଦ୍ଦିବି.  
ମତ୍ରେରି ଥିନ ନିଜ୍ୟେ, ଅର କିମାରିବି  
ଦା ଅଳାର ଗ୍ରେନିଲ୍ୟ ବି ମତ୍ରିବାବି...  
ମିମିଲ୍ୟ, ଶାର୍ଦ୍ଦି ଦାମିଲ୍ୟ,  
ମନ୍ଦୁପୁର ! ମାମା - ଶ୍ରୀଲିଲିବାବି.

ମନମାକ୍ରିଦ୍ୟେ, ଧରାକିତ, ମିମିରାଲି  
ଗାଲମିଶ୍ରିବରୁନିଲା ତ୍ରୟାଲ୍ପନି  
ଦା ଶ୍ରୀତିରା:—ଗାମିଶ୍ରିବି,  
ମେ ଆଜି ଅର ମିନିଲା ମନ୍ଦାଲ୍ପନି!  
ରାତି ଦାଗ୍ରମାରିତାବି, ଲିରିବି ଶାର,  
ଦିବିପାନ, ପ୍ରେଲାଟ୍ରେରିବା!  
ମାଲିଲିପ ନ୍ତି ଶ୍ରୀମାନାନ୍ତ୍ରୋନିବି  
ଶ୍ରୀମାନି ଶ୍ରୀନିବା!...

ମନ୍ଦାଲି ଶ୍ରୀଲିତ-ମାଦରିଦିଲିବି ଶିତ୍ୟପ୍ରେବି  
ଶ୍ରୀଲି ଶ୍ରୀକ୍ରିବି ବିତ ଫରିଲି ବାରା;  
ଫ୍ରେଞ୍ଚି ଗାମନିଦା କାର୍ପନି  
ଦା ହୃମାଦ ଗାମନିବା.

\* \* \*

ଶ୍ରୀରତ୍ନକ୍ଷେତ୍ରିନିଲ -ଶ୍ରୀକ୍ଷେତ୍ରିବୁଲି  
ଶ୍ରୀମନିତକ୍ଷେତ୍ର ମନ୍ଦିରିବୁଦା.  
ଥିନ ଶ୍ରୀନିଦା ବନ୍ଦିବି ଶବ୍ଦିବି,  
ଦାଙ୍ଗି, ଦାଉଥିବ ପୁରିବା.

ଦା ଗାନ୍ଧୀରେ ନାହିଁ ପାରିଲୁଣ୍ଡ ଫଳେ  
 ପ୍ରକୃତି - ସାନ୍ତୋଷାରି ଫର୍ମେବା,  
 ଏହିତଥାନାହିଁ ଗାନ୍ଧୀରେ ନିଯମିତ  
 ଯୁଗେଣି ତୁମଙ୍କୁ - ଯାଏବା,  
 ଗର୍ଭନବା ଦାଉତ୍ତୁବା, ଦାଉପଥରା,  
 ଘୁଲୁସ ହାତେବିନା ନାତେଲି...  
 ଅମ ଫର୍ମାଇ ମି ସାକ୍ଷିତ ଯୁଗରାହ  
 ରୋଗନ୍ତରୁ ଫୁଲେଇବାଦି ସାନ୍ତେଲି, —  
 ଯିବାସିପି ମାତ୍ରମା ତ୍ରୈବ୍ରଦ୍ଧମା  
 ମିଳିଲି ଫିନ ଗାଯିରାଲେସ,  
 ଲମ୍ବିଲିତ ମିଲ୍ଲାଲ୍ଲେଖିଲେସ  
 ଦା ଗର୍ଭନବା ଆୟତନାଲେସ.  
 ରା ଗାନ୍ଧୀ ମନ୍ଦିର, ଏହି ଶ୍ଵେତିଲା  
 ମନୋଫିରାଦିନା କାର୍ଯ୍ୟନମା,  
 ମାତ୍ରାମ ଶ୍ଵେତରତନ ସିମ୍ବିତାମ,  
 ଫାନ୍ଦୁରାଜି ସିମତା ଶ୍ରଦ୍ଧାର୍ଯ୍ୟନମା.

\* \* \*

ସିମ୍ବିତା ଗ୍ରହିନୀ ଲିଙ୍ଗିଲୀ ବ୍ରନ୍ଦିନୀ,  
 ତକ୍ଷିଲୀ ବାଜ୍ପୁଆପବାଚେଲା...  
 ଗାୟାନିତିଲା ରୋଗନ୍ତରୁ ଫୁଲିତିଲା,  
 ଯୁରି ପ୍ରେସାଲା କାଲିକେଲା...

„ଲାକ୍ଷ୍ମୀରେ ପାଞ୍ଚେଇ ମେଡିକ୍‌ରାହ  
 ମିମୋପୁରାଙ୍ଗେ ମନ୍ଦିର ଫିରାରି,  
 „ଧର୍ମବିଲିନ ପ୍ରେଲିଂଚେ ମିଳିଲିରାଫ୍ରି  
 ଆଶାଲଗାଚିଲା ମେନମାରି.  
 „ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟାନ ଶିଖିଲାବୁବୁବୁ, କବିଲିନ କିମ୍ବାରାଙ୍ଗେ,  
 ଲୁହାରାହ ପ୍ରେଲିନ ମିଳି କାନ୍ଦାଲି;  
 „ଗଢିଲ ଉଲାପାଙ୍ଗେ, ପୁରୁଷବା  
 ଫାନ୍ଦୁରାଜି ଫିନ ପାରୁଜା କାଲି:

”ହେମି କାର୍ଗଳ, ଏହି ଦାସିଯୁଗଲା  
ଏହି ଏହି ଦାସିଯୁଗଲା ଶେରି ଶେରି,  
”ମତ୍ରିରୀର ଫିନ ଲାହିରାଦ ଏହି ମନ୍ଦରୀଙ୍କ  
ଏହିପାଇ ମୁଖଲା ଏହି ଏହିପାଇ;  
”ଗମିରି କାର ଏହି ଗମିରାଦ ଲାହିରି,  
ଏହି ଉପକାର ମନ୍ଦମ୍ଭେବ ଗ୍ରେହିଲା,  
”ମାମୁଲିସତ୍ତ୍ଵୀର ଉମିଶିରାଦା  
ମନ୍ଦମ୍ଭେର ତ୍ରୁପ୍ତିର ମକ୍ରିଲା!  
”ମତ୍ରେରତ ସିଜାଦନ୍ତ ଏହି ଶେଷିମନ୍,  
ଏହିପାଇ, ରାମ ଫିନ ଉପ୍ପାଲା:  
”ମନ୍ଦମ୍ଭେବ ମନ୍ଦମ୍ଭେବ, ମତ୍ରିର ଗାମକୁଣ୍ଡ  
ରହେବା ମୁଦାମ ଉତ୍ସାହେଲା!  
”ମାତ୍ର ସିନ୍ଧିଲୋକାନ୍ତ ନ୍ୟାଲୁଲା ଏହି ମନ୍ଦମ୍ଭାନ୍ତ,  
ଏହିପାଇ ଫିନିମା ଏହି ଏହିପାଇ ପ୍ରାରି,  
”ମିର୍ତ୍ତାର ଏଲାର ଗାଧାବ୍ୟରିର  
ଗଲୁଗୁଟା ଏହି ତାରିତ ଫାରି,  
”ମତୀର ନାଦିରି ଉତ୍ସାହେଲା ଗ୍ରାମି  
ସାମାର୍ଜେବ ଏହି ମିବାର୍ଜିବ୍ରତ,  
”ମନ୍ଦାଲ୍ଲ ଏହି ଲାହିରାର ମେଜବାରିପ  
ଏଲାଲ୍ଲ ଏଲାର ମିର୍ତ୍ତାର୍ଜିବ୍ରତ!“.

\* \* \*

ତାର୍କଣ୍ଠ ସାମିରିର ସିତ୍ପ୍ରେବିତ  
ନ୍ୟାଲୁଲା ଦାରୀତିର ନ୍ୟାଲୁଲାକ୍ଷେତା,  
ତାଏ-ଦାରୀରିଲା ଜ୍ଯେମି ମନ୍ଦମ୍ଭିନ୍ଦାଲ୍ଲ,  
ପ୍ରର୍ଯ୍ୟମଳି ହାମର୍ବୁଦ୍ଧିର ଗୁଲକ୍ଷେତା.  
ନାଲ୍ଲେଲାକ୍ଷେତା ସାକ୍ଷେ, ମାତ୍ରାଲ୍ଲ  
ନାଦିରିରୀରୀକ୍ଷାତ ପ୍ରୟେ-ପ୍ରୟେଲାଦ,  
ତାକ୍ଷ ଫିରାଦ୍ରୂପା ମନ୍ଦମ୍ଭାରୀଲ ସାକ୍ଷ୍ଲା  
ଶ୍ରେଷ୍ଠାଦ, ଶେଷମହିନ୍ଦରୀଲାଦ.

କ୍ରାନ୍ତି ବିଶ୍ଵ ଗାମନ୍ଦିରୀକ୍ଷିତୁଲା  
ନିର୍ମିନ୍ଦିଲ୍ଲ ପ୍ରର୍ଯ୍ୟମଳିନ ତ୍ରୁପ୍ତିବ୍ରତ,



Չա օմյջուն լոմոլոտ  
Հայոն ճաշից պահանձա.  
Ճանագ օյ ճեղաւ վեր-Շյոլոնչեց  
Ըստուլուն ճանաւ, լոմուն տեսուց Շյոլասա,  
Օմուգան ճածրուն քուլուց  
Երտաւ մոյլուս կայլասա.

— Ճեղուն, կարո ցամուլց,  
Շյոն է արոն, ճածրուն քուլուս թրուլաւ.  
Ժլուց ցածրաց արուն մե  
Խոսց ըստ բայց աս պայմանաւ.

— Մարու եար! — մարու մոցուզել,  
Իռա ցածրաց պայլու - պայլ.

— Ժմիթ ճա մամա սագլաա,  
Ես մուխու Շյոն մոսց մուխա.

— Օյ ճաշից պայմանան  
Բուրուս ճածրուն քայլամա.

— Ցածրաց՞ւ արա! — մայ  
Օսց մոսց պայն Շյոն Շինա?

— Մե ցամուզոյիլու, Իռա, ճեղու,  
Ես պայման պայման մուց Շյոն տցունա...

— Ի՞նչ! Շյ լահարու, Շյ մեծալու,  
Օյ մոսց պայման տայուտա?!  
Ար Շյ մոսց պայման սոյց դոլու  
Սակալուն անաւ, եմալուտա?...  
Ցամուզ, ալար մեյլենու,  
Ար ճամենաւ տցալուտա!  
Շյոն իյմու Շյունու արա եար,  
Ալարու ցոյշունց Շյունաւ;  
Եղու մարուն նուլարաս մերուզու,  
Եղունար մարունց բայմանաւ!...  
Մեծալու եար, մեծալուաւ օարյ,  
Մոյն ճաշ մոյն ճա կլուզունց  
Ինոյիս ար մոյաւթուն մե Շյոն յունտ  
Իյմու մոսց պայման դլոյց պասա.

ଫେରିଲିବ କଥା ମିଳିପୁଣ୍ଡା. ତାରୁଣ୍ଯି  
ଦୂରଦ୍ଵାନ୍ତରେ ଗମିନାଏଲା ଗାର୍ଜେତା,  
ଦେଇସ ଶିଖ୍ୟେଲା, ଲାମିଲେ ଫୁମିଲିଶି  
ଠିରାନ୍ତଜ୍ଞେଦେଇଲା ମିଳାର୍ଜେତା...

ଉପାର୍କ ଗାଉଦିଲା ସିରପଥ୍ୟିଲିଲା,  
ଦୂରଦ୍ଵାନ୍ତରେ ଗାର୍ଜେତା,  
ଗୁଲିଶି ଡାଇପା କାନ୍ତଜାଲି—  
ଦା କୈପେ ଗାର୍ଜେତାରୀଲା.

ଫେରାମ ଗୁଲି-ଗରୀଲାଦ ଫିଲିତା  
ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠିଲା.  
ଅର୍ପ କିନ ଅଲିରୀଶା ସାମାର୍ଜେ  
ଗୁଲିଶିରେ ସିଲିଙ୍ଗ-ଗାରାନଟେରୁଲା.  
ମୁକ୍ତିରୀଲିଲା କୁରିଲିଲିଲିଲାମ କୁରିତାକୁ  
ଦାଲିଲି ସିଲିଙ୍ଗରେ ଲାଗୁଦା ଲାଗୁନିତା,  
ମେଦାଲି ପାଇଦାତ କିଲିନିକିଦିନିକ  
ତ୍ରୟିତ ବାଲିଲିପିକ କି କିନିତା.

\* \* \*

ତାରୁଣ୍ଯିଲିଲା ସାକ୍ଷେଳ୍ପ ଦଲ୍ଲେଶାପା  
କାଲିକ କିଲିନିକିଦିନି ଶିଖିବିତା.  
ମିଳି ଅର୍ଧିଲିଲା କି, ମିଳିଶି,  
ଦାଲିଲି ଲାମ-ଲାମେବିତା:  
କିନିକିନ ଫିଲ-ଫିଲିତ ଫାନ୍ଦିରିଲିଲା ଚିନ  
ଫାରୁଲାଦ ମିଳିକାରେବା,  
ଶ୍ରେଷ୍ଠାଶ ଶତକ୍ରେଷ ଫେରାଶ ଦା କେବିନିତ  
ମିନ ଶ୍ରେଷ୍ଠାଶ ମିଳିକାରେବା;  
ମାଗରାମ କୁରିତ କିମିଲି ମାଶ ମେଲିଲିଲା  
ଲାଗୁଦା, ଲାଗୁନି ସିଲିପା.... ଚିଖୁଲି  
କିପାଇ ଗାରିଦିଲା, କିପାଇରିପ କିମିଲି ଫିଲିଲା  
ଲାକିରୁଲାଦ, କୁକୁ-କିପିଲା.

ମଦ୍ରାମେଲି

## მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე ს ჰ ა ტ ა რ ა ქ ა ლ ი

(ფრანგულით)



### I

აფრანგეთის ერთს ქალაქში, მდინარე საურბახის ნაპირზე ამ თორმეტი წლის წინად ამართული იყო ერთი კოპ-წია წისქეილი, რომელსაც თეთრად შელესილი კედ-ლები ჰქონდა. ჩეარი მდინარე წისქეილის ბორბლებს ცელქურად აბრუნებდა.

მეწისქეილეთ ერთი ღონიერი, ვა წლის გლეხი იყო, პირქუში, მაგრამ შრომის მოყვარე. თითონ მარტო წისქეილს უნდებოდა, ოჯახს-კი მისი ცოლი მარინე, ქმარჩედ რამოდენიმე წლით უმცრო-სი, უელიდა, შეილებს ზრდიდა და თავის ლიზას, თერთმეტის წლის ქერა გოგონას, ჭრა-კერვას, ოჯახის გაძლოლას და ყაირათობას ასწავლიდა.

მათი მეორე შეილი, პატარა პეპე, ჯერ ისევ ძუძუ-მწოვარა იყო და ლიზიკოს ჰქონდა იმის მოელა და უკან დევნა მინდობილი. ლი-ზიკო თავის პატარა ძმას მეორე დედობას უწევდა. ეს მოეალეობა ლიზიკომ თავისთავად იყისრა და მეტის-მეტ სინილისერად ასრუ-ლებდა. რა ბედნიერი იყო, როცა თავის პაწია ძამიკოს ხელზე აყვა-ნილს ატარებდა! როგორ უალერსებდა, როგორ დასტრუოდა!...

პეპემაც ისეთი ლიმილი იცოდა, რომ თავისი მომელელი და ალტაცებაში მოჰყავდა ხოლმე.

როცა პეპეს დაეძინებოდა, ლიზიკო საშინლად დალონდებოდა; თუ დიდხანს არ გამოილეიძებდა, გული ვერ მოუთმენდა, აკვანთან მიეიღოდა და ცხეირზე ლიტინს დაუწყებდა.

— პეპე, პეპიკო, გაიღვიძე, შენ გენაცვალოს შენი დაიკო! ზოგიერთი გამიცინე შენი ფუნჩულა ტუჩებით!

პეპე თავის დიდრონ თეალებს გაახელდა, შეხედავდა თავის დას, გაუცინებდა და თავის ვარდის ტუჩებით დის თითს წუწვნას დაუწყებდა.

— ჩემი პეპეს დარღი არ გამყვება, მე რომ რამე უბედურება შემემთხევს და უცბად მოვყედე, — ეტყოდა ხოლმე კეთილი მარინე მეზობლის ქალებს, რომელთაც წისქეილში საფქვავი მოჰკონდათ. ჩემი ლიზიკო ეგეთი ჭკეიანი რამ არის, რომ ნამდეილ დედობას გაუწევს თავის ძმას.

— მართალი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, მართალი, — უპასუხებ-დნენ სოფლის დედა-კაცები, — ნამდეილად დედის ჯიგარი აქეს. უნდა უყუროთ, როცა თავის ცხერებს და თხებს ყურს უგდებს! მთელ სოფელში ბადალი ვერ მოეძებნება, მგელი ან სხვა გარეული მხე-ცი მის ფარის ახლოს ვერ გაიკაჭანებს, ძალიან გულითაც რომ მოინდომოს.

— მართლა და, — უპასუხებდა მარინე, — არეის გვინახავს, რომ ცხერები დაჲკარგოდეს და ან გადაჲვარდნოდეს საღმე. ჩვენი საყვარელი ბეკეკე ხომ სულ თან დასდევს პატარა ლიზას.

\* \* \*

მოსაელიანი წელიწადი დადგა; წისქეილის თეალი ბრუნავდა, ბრუნავდა შეუწყვეტლივ. მეწისქეილე ქანი, სიმღერა-ლილინით, ფქვილად აქცივდა კირნახულის ქარეის მსგავსს მარცვლებს. მისი შრომა ყოველთვის კურთხეული იყო ღეთისაგან, შემოსავალი კარგი ჰქონდა; ბედის მომდურავი არ იყო. წელიწადი ისე არ გაი-ლიდა, რომ გადარჩენილი ფულით მეწისქეილეს რამდენიმე დღაუ-რი მიწა არ შეეძინა. ნელ-ნელა მდიდრუებოდა ქანი და კარ-მი-დამის იმართავდა.

მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია, რაც ქანი უკმაყოფილოდ არის და მის პირის სახეს დალერემილობის ბეჭედი აზის.



მიზეზი ის გახლდათ, რომ დედა-ქალაქიდამ, პარიულდებულის ასახულა გეშია არაფერი ისმოდა, სულ ომიანობაზე მოდის ამბავი, პრუსიელებსა და ფრანგებს შორის შეტაკება მოხდებაო... მშეიღობიანობის დარღვევა ჟანის წისქეილს, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს საზღვარზე იყო, დიდ ზარალს მოუტანდა.

ხმა გამართლდა. მოკლე ხანში ფრანგების დიდი ჯარი წამოვიდა, ჟანის წისქეილზე გადიარა და სამზღვარზე დაებანაკა.

ჟანს თავის სიმდიდრეზე ხელი დაბანინეს, მაგრამ მის გულში მამულის სიყვარულის წმინდა გრძნობა ლეიოდა და მზად იყო სამშობლოსთვის ყოველ-გვარი სამსახური გაეწია.

— დეე, ჩემი წისქეილი სრულიად განადგურდეს, ოლონდ ჩემმა სამშობლო ქვეყანამ, საფრანგეთმა გაიმარჯვოს! — ამბობდა ჟანი.

## II

— პრუსიელები!!!!... პრუსიელები!!!!... — ყვიროდა ხალხი ერთ დილას. ამავე დროს შორიდგან ხმაურობა მოისმა და სქელმა ბურუსმა არე-მარე დაფარა. ჟანი თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა. მორთოლარე ხელი მოაელო თავის ორ-ლულიან თოვს, რომელსაც წინად მგლების, ტახების და მელების დასახოცად ხმარობდა.

— ფიქრი არ არის, თუ აქამდე მოეიდნენ, მაშინ მე ვიცი და ჩემმა თოვმა!... — და გულადი ვაჟკაცი რქას თოვის წამლით აესებდა და თანაც ჯიბეს იქსებდა ახლად ჩამოსხმულ ტყეიებით.

— ფრთხილად იყავ! — უთხრა მარინემ, — თუ დაგიჭირეს, უბედურებას თავიდგან ვერ აიცილებ.

— რაც უნდა მოხდეს, — ერთ დღეს ხომ მეც უნდა მოვკედე... განა მე საფრანგეთის შეილი არა გარ?

მაგრამ მეწისქეილეს მღელვარებამ თითქოს თან-და-თან გაუარაო; შევიდა თავის ოთახში, გაალო პატარა ყუთი, რომლის გასაღებს ყოველთვის ყელზე ჩამოკიდულს ატარებდა, ამოილო იქიდგან პატარა ტომრიკელა და, რაც შიგ იდო, ყველაფერი ამოალაგა

და სამხარეულოში დაწყო. ეს მისი ყაირათობით შევი დღისათვის  
გადარჩენილი ფული იყო: ორიოდ ოქრო იყო, რამდენიმე თეთრი  
ფული და შევი ფული ხომ ბევრი ერია. ესნა ფული სამად გაჰყო:  
თეთრი ფული თავის ცოლს მისცა, ოქრო თავის ქალს და შე-  
ვი ფული-კი თვითონ დაინარჩუნა.

— აბა, ჩემო შეიღო, ეს ფული პერანგზე მიიკერე,— უთხრა  
მამამ ლიზას. შენ, მარინე, ეს თეთრი ფული კარგად შეინახე; მე-კი  
ამ მძიმე ფულის სატარებლად ღონე ჯერ კიდევ შემწევს.

— არაენ იცის, კაცს რა გადახდება თავს,— ყველა ჩემნგანს გაჭი-  
რებაში უნდა სახსარი ჰქონდეს და შეელა მოეძებნებოდეს.

რამდენსამე ხანს სამიერი კერვაში იყვნენ გართულნი, ფულებს  
ხამზედ იკერტბლენენ.

ამასობაში შორიდგან ზარბაზნის ხმაც მოისმა, ხმა თან-და-თან  
ახლოვდებოდა.

გლეხ-კაცებს ხელში თოფები დაეჭირათ და წისქეილში მო-  
დიოდნენ.

— რა ამბავია? — ჰეითხა მათ ესნა.

— ფიქრი არ არის, — უპასუხა ერთმა ყველაზე ახალგაზდამ.

— მე-კი სულ სხვას ვფიქრობ, — სიტყვა გააწყვეტინა ერთმა ხანში  
შესულმა გლეხმა კაცმა, რომელიც ერთ დროს ჯარის-კაცად ყოფი-  
ლიყო, — თუ გინდათ დაენაძლეედეთ, რომ ხეალ პრუსიელები ჩენს  
საურბახის წყალზე გადიელიან...

— თუ მოელენ, დაუუწედებით კიდეც, — სოქვა ესნა და თოფ-  
ზედ დაიდო ხელი.

— ჩეენც მხარს მოგცემდით, რომ, საუბედუროდ, მარტო სა-  
ნადიროდ სამყოფი ტყვეია არა გვქონდეს.

— ხალხნო, აპა და ამისი ტყვეია ჩამოასხით... აი გადააღნეთ,  
ესც გამოდგება... და თან ჰელეჯდა აქეთ იქიდამ რაც-კი მის წის-  
ქეილში რკინეულობა მოიპოვებოდა.

## III

— მარინე, ბავშვი აიყვა ხელში და ლიზასთან ერთად თავს უშველეთ; აქ დარჩენა არ შეიძლება... გასწით ჩქარა და ტყეში შეაფარეთ თავი,—ეუბნებოდა ქანი თავის ცოლს.

მარინე გაშეშებული იდგა, მას არ უნდოდა ქმრისათვის თავი დაეწებებინა და შეილების დატოვებაც ეძნელებოდა. ბოლოს, როგორც იყო, გადასწყვიტა, დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა, აკოცა თავის პეპს და ლიზას ხელში ჩაუსვა.

— აბა, გენაცეა, უპატრონე შენს ძმას, თუ ჩეენ რაიმე უბე-დურება აგვიტყდეს, დედობა გაუწიო. გაიქე ტყეში, კარგად დაიმალე, და იჩბინე რაც ძალა და ლონე გქონდეს, იჩბინე, ცოტხალი პრუ-სიელებს ხელში არ ჩაუფარდე... თან ჩეენი ბეკვეც წაიყვანე: იმისი ჩით ბავშვი ასაზრდოვე.

გამბედავმა ყმაწეილმა თავის შშობლებს აკოცა, თხაც თან გაიყოლია და მოჰკურუხლა. მოკლე ხანში ის აღარც-კი სჩანდა, ხე-ხილებს ვიეფარა. ბეჭრ ხანსაც აღარ გაუკლია და მტერი საურბა-ხის მეორე მხრიდან გამოჩნდა.

— მტარეალნო! — დასცუივლა ქანმა, — და თოფი მიუმიჩნა. გა-ვარდა თოფი, მოხვდა ერთ პრუსიელ აფიცერს გულში და შიგ გა-უარა. აფიცერი მაშინვე ცხენიდგან გადმოვარდა.

მტერმა პასუხის გაცემა არ დააგვიანა; მეწისქვილეს სახლი ტყეის წეიმაშ სულ გააფარატინა. სოფლელები ძალიან მარდები გამოდვნენ, მტრის ტყეია არც ერთს მათგანს არ მოხვედრია, და მათი ტყეია-კი თან-და-თან აწევნდა მეომრებს მტრის რაზმში. ქანი ყელაზედ მეტად იყო გამგელებულია, თავისი დარდი სრულებით არა ჰქონდა და, ყვე-ლასაგან განმარტოებული, მაღალ ადგილას იდგა, რომ თავის სა-მსვერპლო უფრო კარგად ამოელო მიზანში. მტერი ზარბაზანს ერთ-მანეთზე სცლიდა, მაგრამ მეღვარი ვაჟკაცი წარბსაც არ იხრიდა; ბოლოს მაინც ერთი შორეული ტყეია ზუზუნით წამოვიდა და შიგ

გულში ეცა გმირს. მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იყო: „საფრანგის გეთს გაუმარჯოს!“ და მთრთოლარე ხელით მიაწოდა თავის ცოლს თოფი, რომელსაც ეჩლა ვეღარ იხმარებდა.

მარინემ თოფს ხელი ჩასჭიდა. ამანაც იცოდა თოფის ხმარება, და პრუსიელებს ვაჟყაცის მაგიერ ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი დაუდგათ თოფით ხელში.

საწყალი გამოუცდელი მეომარი ქალი! მარინემ დიდხანს ვერ გაუძლო ბრძოლას. პრუსიელებმა თოფით დახერიტეს თავის სახლის წინ შეიარაღებული ქალი და მალე დაეპატრონენ წისქეილს.

#### IV

ლიზა ლირსეული შეიღი იყო თავის წამებულ შშობლებისა; თავის ძმას ძალზე გულში იკრაედა და ჩქარის ნაბიჯით მთაზე გადადიოდა, რომლის იქით ტყე იწყებოდა. ღროვანი გამოშევით მინდერისაკენ გაიხედავდა და დალერემილ თვალებს გადაავლებდა წისქეილს, რომლის ჭერ ჭერშ ბევრი ბედნიერად გატარებული დღე ახსოვდა. პატარა ქალი ერთბაშად გაფითრდა.

— ლმერთო! — გულ-ჩაწყეტით მოისმა ლიზას ხმა, — როგორ მის-სევიან და იკლებენ ჩვენს წისქეილს!

ერთმა ტყეიამ მოალწია ობლის ფეხ-ჭერშამდის და კლდეზე ლაწანი მოადინა. შეზინებულმა ბაეშემა ფეხი აუჩქარა და, ტყეში შეჰყო თუ არა თავი, შიშისა და სიარულისაგან ლონე მიხდილი ერთ მუხის პირდაპირ ჩამოვჯდა. მისი ბეკეკეც თავს ადგა.

— სანამ ყველაფერი არ მიწყნარდება, აქ დავიცი, გადასწყეო-ტა ლიზამ.

არც-კი გაეთავებინა ეს სიტყვები, რომ თავზარ დამცემი გრიალი, თითქოს ჭვეყანა დაინგრაო, გაისმა იმ მხარეს, სადაც მან თავი შეაფარა.

— აქეთ ხომ არ მოდიან, — გაიფიქრა ბაეშემა, წამოიწია და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.



ცოტა გაიარა თუ არა, ზარბაზნის ყუმბარა ერთ დიდ მუწოდეს წყვეტა  
მოხედა, ჩამოლენა ერთი ტოტი და ყმაწეილის წინ მიწაზე დაენარცა.



თხამ ღრივალი მორთო და გაშვაგებული გაიქა თავის საშეელად. ლი-  
ზაც შემკრინალი უკან დაედევნა და ხშირ ტყეში დაიმალა.

უნდა გენახათ, როგორ მიჩნდოდა საწყალი გოგონა!... ჰარბაზ-ნის სროლა დიდხანს არ შეწყვეტილა, რადგან გამარჯვებული პრუსიელები სიფრთხილით მიღიოდნენ წინ. იმათ ეგონათ, რომ ტყეში გახიზული იქმნება ვინმეო და თავიანთ კუუში უნდა დაეფთხოთ და გამოევდოთ იქიდამ, თუმცა ამ გახიზულებმა რაცა ხანია თაეს უშეველეს.

ლიზა თავის ერთგულ თხას მიენდო, რომელსაც სულ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე ეჭირა. თხა თან-და-თან დარწმუნდა, რომ შიში არაფრისა აღარ იყო, და ბოლოს ერთ მწერანეზე გაიშხლართა. ლიზაც გვერდით მოუწეა, და დალლილებს სამთავრეს დაეძინათ.

შშირ ფოთლებ ქეეშ ლამე ძალზე ბნელი იყო. ჯერ კიდევ არ ერავრავა, რომ ბავშეი დიდმა ხმაურობამ გამოაღეიძა. პრუსიელების ლაშეარი მოდიოდა და ტყეში უნდა გასულიყო. ლიზა შიშისაგან ცოცხალ-მკედარი მიწას გაჰკეროდა. პატარა პეპეს ისეე ეძინა. თხა-კი, რომელსაც ადამიანსაეთ კეკიანური ქცევა ჰქონდა, თავის პატრიონის გვერდით მიწეა, თითქოს იმისგან მოელოდა შველას და გამოსარჩლებას.

პრუსიელების ლაშეარი ნელ-ნელა მიღიოდა... მაგრამ ბოლოს მაინც გაეიდა ტყეს და არე. მარეს თავისი კულაეინდებური ფერი დაედო.

ლიზა კიდევ დიდხანს იყო სულ-განაბული, ფეხის გადადგმას ვერ ბედაედა; სალამო ხანს მოიკრიფა ღონე, დაადგა ერთ ნაცნობ ბილიკს, რომელზედაც შშირად ევლო წინად, და შზის ჩასვლისას იმ გორაკამდე მიაღწია, რომელიც სურბახს გადასცეკროდა, და ბავშემა აქედგან დაუწყო თავის სახლს ძებნა.

ლიზა დარწმუნებული იყო, რომ მისი მამის სახლი იმ მთის კალთაზე უნდა ყოფილიყო, აი იმ მთის იქით, მაგრამ რომ არა ჩანს სახლი?

საწყალი გოგონა! კიდევ რამდენიმე ნაბიჯი წასღეა წინ და ნახა, რომ ნანგრევებიდან ბოლი ამოდის.

— ღმერთო! — დაიწიელა ბავშემა, — ჩვენი სახლი დაუწევთ! მამა ჩემი?... დედა? რა დაემართათ?...



ლიზამ თავის დედ-მამა იმ მღვიმარეობაშიც ნახა, როგორც  
პრუსიელებმა დასტუკეს: მდინარის ნაპირას, თოფებით დახვრეტილნი,  
გმირული შეხედულობით გროვა მკედრებზედ ეყარნენ.

საწყალი ლიზა!

ბაეშემა იმდენი მხნეობა გამოიჩინა, რომ მკედრები, როგორც  
შეეძლო, დამარხა. როცა ამ საქმეს მოჩინა, პეპე ისე ხელში აიყვანა,  
გაიყოლია თავის ერთგული თხა და საჭუდამოდ გაშორდა ამ მხარეს,  
სადაც ამდენ ხანს ბედნიერებით ეცხოვრა.

ლიზა ღამ-ღამეობით უშიშარ ბინას პოულობდა ეისიმე გლე-  
ხის ქოხში და ყველა სიამოვნებით უწილადებდა ხოლმე ამათ თავის  
ოფლით მონაგარს ლუკმა პურს.

ამ ნაირათ ლიზამ თავის პეპეთი და ბეკეკეთი შუაგულ საფ-  
რანგეთამდე მიაღწია. იქ ერთმა მწყემსმა დიდი სიხარულით მიიღო  
და მერე ლიზა იქეე იმასთან დადგა მწყემსად.

ახლა ჩეენი ლიზა გასათხოვარი ქალია კიდელ; ბეერი შეძლებუ-  
ლი საქმრო აღმოუჩნდა, მაგრამ ლიზა არ აპირებს გათხოვებას, სა-  
ნამ თავის საყვარელ მშობლების საფლავს ძევლს არ დაუდგამს. ქალ-  
მა უნდა თავისი ძმაც თან წაიყვანოს და უჩვენოს ის ადგილი, სა-  
დაც წისქეილი იყო და სადაც მისი დედ-მამა, სამშობლოს სიყვა-  
რულით, მტრის ტყვიამ წუთი-სოფელს გამოასალმა.

თ. სა—კია

## კოუზი და მერა

(თ. რაზიკაშვილის გავონილი)



ბილიცე, გახაფხულო! —  
ეკელაძ ამოიდგა ქნა:  
შაშვი ღობეზედ შემოვდა,  
შემოსძახა ნელა-ნელა.  
ზევიდა წამოვა ძერა,  
კრუხს სალაძი მოახსენა:  
«კრუხო, გამარჯობა შენა!»  
— შენი სალაძი არ მინდა,  
ნეტა გამეცალო შენა!  
— «ნაცირას რომ წიწილა ჰის,  
უნდა მომცე სელ-და-სელა.»  
— ჩემი ნატრონი გაგიგებს...  
თოვი ფეხზედ დააუენა.  
— «მე იმის თოვი ვერ მომკლავს,  
თუ არა მაქუს ბედის წერა!...  
ძერაძ წიწილა წაიღო,  
ქვეშიდა მისდევდა მელა:  
— მე და ძერას შემოგვხედეთ,  
წიწილა წავიდეთ ჩვენა.  
ძერა პლდეზედ შემოვდება,  
ქვეშიდან შესცემერის მელა...  
ეს მონადირეშ გაიგო,  
მწევრები ზედ წააუენა,  
გასწიეს და გამოსწიეს,  
ზურგზედ ბური დრაუენა!...»

## იადონისა და ბუღბუღის ზღაპარი

(თ. რაზიკაშვილის გაფონილი სოფ. ვეჯინში)



ყო და არა იყო რა, ლეთის უკეთესი რა იქმნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყანდა იმ ხელმწიფეს სამი ვაჟი. ხელმწიფე რომ დაბერდა, შეილები დაიბარა, უნდოდა იმათი გამოცდა,— ეინ გამოდგება ხელმწიფეთაო, და უთხრა ჯერ უფროსს შეილს: — ჩემო შეილო, შეგიძლიან იმისთანა საყდარი ამიშენო, რომ შიგ წუნი ვერავინ იპოვოსო?

შეილი დაფიქრდა და მოახსენა:

— არა, მამავ, არ შემიძლიან, ვერ აეშენებო.

ეს დაითხოვა ხელმწიფემ, დაიბარა ახლა მეორე შეილი და ამასაც ჰკითხა:

— შეგიძლიან, შეილო, ისეთი საყდარი დასდგა, რომ შიგ წუნი ვერავინ იპოვოსო?

— არ შემიძლიანო,—უპასუხა შეილმა.

— წადიო, — ამასაც უთხრა ხელმწიფემ.

დაიბარა ბოლოს უმცროსი და ახლა ამასა ჰკითხა, ისე, როგორც სხევებს:

— შეილო, შეგიძლიან ისეთი ეკლესია ააშენო, რომ ჯარმა— ჯამათმა წუნი ვერაფერი უპოვოსო?

უმცროსი შეილი დაფიქრდა და მერე უთხრა:— შემიძლიანო. ვაჟმა ასე იუიქრა: მე ხომ არ ღავუწყებ შენებას, ხელოსნებს მოვრევავ და მე თავს დავადგებიო.

მართლაც დაუძახა ხელოსნებს, ეინც კარგი ეფულებოდა თავის სახელმწიფოში, და შეუდგნენ შენებას. საყდარი რომ დაამთავრეს, დაიბარა ხელმწიფემ მთელი ჯარი-ჯამათი და გააშინჯა საყდარი.

— აბა მითხარით, თუ რამ წუნი აქვსო? — უთხრა ხალხს მიუკირთვა  
ხალხმა წუნი ვერაფერში უპოვა. ის იყო ხელმწიფე უნდა შე-  
სულიყო შიგ საყდარში და წირვა გადაეხდევინებინა, რომ ერთმა ბე-  
რიკაცმა ჩამოიარა.

რა კარგი საყდარი აუშენებიათ, რომ ცოტა საძირკველში არ  
იყვეს მრუდეო! — სთქვა ბერიკაცმა.

ხელმწიფემ გაიგონა ბერიკაცმის სიტყვები, დააყენა და უბ-  
რძანა:

— აბა, ბერიკაცმ, რა სთქვი, კიდევ გამაგონე.

— არაფერი მითქვამს, -- უპასუხა ბერიკაცმა. — ეზ ეკლესია  
ხალიან კარგად არის ნაშენები, რომ საძირკველში ცოტა მრუდი არ  
იყვეს მეთქი.

გაიგონა ეს ხელმწიფის შეილმაც, დააყენა მუშები და ისევ დააშ-  
ლევინა. ააშენეს უფრო უკეთესი საყდარი. დაუძახა ისევ ხელმწიფემ  
ჯარი-ჯამაათს და გააშინჯა. ხალხმა მაინც ვერა იპოვა-რა შიგ წუნი.  
ხელმწიფე შიგ შესელას აპირებდა, რომ კიდევ ბერიკაცმა ჩამოიარა,  
შეხედა საყდარს და სთქვა:

— საყდარი მშენიერია, რომ გუმბათი ცოტა მრუდე არა  
ჰქონდესო.

გაიგონა ეს სიტყვები ხელმწიფემ, დააყენა ბერიკაცმი და ჰკითხა:

— რა სთქვი, ბერიკაცმ, მეც გამაგონეო?


— ბერიკაცმა ხელმწიფესაც უთხრა, რა წუნიც უნახა საყდარს,  
და წაეიდა.

დაადგა ისევ ვაჟი, დააყენა ოსტატები და ააშენეს მშენიერი  
საყდარი. ხელმწიფემ ისევ დაუძახა ჯარი-ჯამაათს. გააშინჯა საყდარი  
და წუნი ვერავინ უპოვა. ხელმწიფე შესელას აპირებდა საყდარში,  
რომ ჩამოიარა ისევ იმ მოხუცმა და სთქვა:

— მშენიერი ეკლესია არის, რომ იადონი და ბულბული არ  
აკლდესო.

გაიგონა ეს სიტყვები ხელმწიფემ, დააყენა მოხუცი და ჰკითხა:

— რა სთქვი, ბერიკაცმ, რა სთქვი, კიდევ გაგვიმეორეო?



ბერიკაცმა უთხრა ხელმწიფეს და გაუდგა თავის გზას! შენელმწიფება  
ფე დაბრუნდა და აღარ შევიდა საყდარში.

ვაჟი დალონდა, წასელა დააპირა. მამამ ერთი სამ-ფეხა ცხენი  
მისუა და უთხრა: — წადი და შენ იცი შენი საქმისაო. შეჯდა ვაჟი  
კოჭლს ცხენზედ, აისხა აბჯარი და გაუდგა გზას. მიღის და რა ეშ-  
მაქს მიღის, ცხენი ძლიერს მისანსალებს, სამ-ფეხა არის. მოღის ვაჟი  
და მოტირის. გამოვა ერთს ტრიალს მინდორზედ. ერთს ბერიკაცმა  
ნახავს, სიმინდის მორწყვა უნდა, დაიხრება — წეერებზე ფეხს. დაიღდამს,  
აიწევს და ადგება, სიმინდს ვერ აწყავს. დაინახავს ეს ბერიკაცმა მტი-  
რალს ვაჟს, შეებრალება და ეტყვის:

— რა გატირებს, შეილო, რა გაგვირებია, რაზედ ღერი ცრემ-  
ლებსაო.

ვაჟმა ყველაფერი უაშბო და უთხრა თავის გასაჭირიც.

ბერი-კაცმა უთხრა:

— შენ, შეილო, ნუ სწუხარ, ეგ შენი სამ-ფეხა ცხენი უბრალო  
ნუ გვონია. უთხარ: „ეხლა მიჭირს შენი თავი, ჩემო კარგოვო“, და  
თეოთონ იცისო. აქით გაგიტაცებს ეგ რაშიო, უთხრა ბერიკაცმა  
ვაჟს, და ზღვას იქით გაგიყვანსო. იქით კიდევ ქალთან გაგაფრენს,  
რომელსაც იადონი და ბულბული ჰყავსო. თუ ქალი არ წამოიყე-  
ნე, იმ მფრინელებს შენ ვერ წამოიყენო. სადაც ქალია, რაში თეი-  
თონ მიგიყეანსო. ეცადე, კარგა დაიმალო, არა გნახოს ქალმა, თო-  
რემ ქარა-მტერად გაგცესო. იმან ძილი იცის, ძილის დროს ოქროს  
თმებს გადმოშლის და ზეეითა სართულიდამ. მიწაზე ჩამოეშეება თმე-  
ბიო. შენ მიღი, ის თმები ხელზე დაიხვიე, რამდენიც დაიძახოს:  
„დაეიწეიო!“, იმდენი შენ უფრო დაიხვიეო, ათას რასმეს შემოგვი-  
ცავს — ცას, ვარსკვლავს, მთელს ქვეყანას, და არ ერწმუნო, სანამ  
იადონისა და ბულბულისა არ დაიფიცოს, რომ შენ გამოგყვება ცო-  
ლადა. ძალიან სიფთხილე გმართებსო.

— ქოსა-მეჩონგურე ოთხი წელია ღრუბელზედ ზის, ჰდარაჯობს  
ქალს, უნდა იმის წაყვანა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მერე, როდე-

საც იადონისა და ბულბულისას შემოგვიცავს, ხელი გაუშვი ჭავალი მიასთანაო.

გამოეთხოვა ბერიკაცს ვაჟი და უთხრა თაეის ცხენს: —აბა, ჩემო რაშო, ეხლა მეტირება შენი თაეიო, და გაფრინდა რაში ნია- უიეთ. გადაირა ზღვა და გაეიდა ხმელზე. გაუქრა იქით და მივიდა ქალის ახლო-მახლოს; უდარაჯა და, როდესაც ქალმა გადმოყარა ოქროს თვები, მიეპარა, სტაცა და დაიხეია ხელზედ. „ვიწეო!“ დაი- ძახა ქალმა. ვაჟმა უფრო-და-უფრო დაიხეია ხელზედ.

— რა გინდა ჩემგანაო! — ჰკითხა ქალმა ვაჟს.

— ცოლად უნდა გამომყევო, — უპასუხა ვაჟმა.

— გამოგყებიო, — უთხრა ქალმა.

— აბა დაიფიცეო, — უთხრა ვაჟმა.

— ქალმა დაიფიცა.

— იადონის და ბულბულისა დაიფიცეო, — უთხრა ვაჟმა.

ქალმა არ დაიფიცა.

ვაჟმა უფრო-და-უფრო დაიხეია მკლავზე იმის თმები.

— „ვიწეო!“ — დაიძახა ქალმა.

ვაჟმა უფრო-და-უფრო დაიხეია. ქვეყნისა დაიფიცა ქალმა, ცისა, შშისა, რომ გამოგყებიო, მაგრამ ვაჟი არ უსმენდა და უფრო იხევედა თმებს. ბოლოს დაიფიცა ქალმა იადონისა და ბულბულისა. აეიდა ვაჟიც. ქალმა უთხრა:

— მართალია, მე შენ ფიცი მოგეც, შევირთოვო, მაგრამ მე შენ არ შეგირთავ, სანამ ერთ რამეში არ გამოგცდიო. მე ერთი რა- ში მყაეს, იმ რაში შენს რაშს მაცუსევ, თუ იჩეუბეს, აღარ ვიქნები შენი ცოლი და თუ არ იჩეუბეს. შენი ვარ და შენიო.

— კარგიო, — დათანხმდა ვაჟი და გაუშვეს რაშები.

რაშებმა დაიხეიხეინეს თითო, გაექანენ და დაუწყეს ერთმანეთს კისერ-გადადებულებმა ფხანა. რაშები დედით შეილები იყვნენ და რას წაიჩეუბებოდნენ?

შასხდნენ ქალ-ვაჟი, წამოიყვანეს იადონი და ბულბულიც და- წამოვიდნენ. გზა რომ გამოიარეს, ქოსა-მეჩინგურემ დაინახა, და-



ეცა ქალს, წაიყვანა, ჩაძერა მიწაში, გაძერა ძირს და ჰუკუცუშითვეა აეარდა.

შეწუხდა ვაჟი და შხლებლებს უთხრა:

— წადით, იშოვეთ ძალიან გძელი თოკები და აქ მოიტანეთ.

წაეიდნენ, მოიტანეს გძელი თოკები. მოიკრა ვაჟმა და უთხრა: — ჩამიშეითო!

ჩაუშეეს და ჩაუშეეს ძირს. გაეშეათ მერე ხელიდამ და წაეიდა ძირს. იარა, ბეჭრი იარა და დაეცა ერთს მინდორზედ. ადგა და გაიხედგა მოინხედა. მინდორში სამი რაში ჰდოედა: ერთი შავი, ერთი წითელი და ერთიც თეთრი. სძოვენ, სძოვენ და მერე დაიწყებენ თამაშობას.

ის რაშები ისეთები იყვნენ — შაეზე რომ შემჯდარიყო კაცი, ხან იქით ჰკრაედა კლდეს და ხან აქეთ და ისე მოჰკლავდა. ეს სიკუდილის მოციქული იყო. წითელზე რომ შემჯდარიყო კაცი, უფრო ქვევით წაეიდოდა, და თეთრზე რომ შემჯდარიყო, ზეცას აფრინდებოდა. ამ ქვეყნად ეს ნათელის მოციქული იყო.

ვაჟი ეცადა, უნდოდა შავი დაეჭირა, მაგრამ ვერ დაიჭირა. ვერც თეთრი დაიჭირა. ბოლოს წითელი დაიჭირა. შეჯდა ზედ და წაეიდა ქვევით. იარა, იარა და ერთს სახელმწიფოში მიეიდა.

ბეჭრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთს ქალაქში შევიდა. წყალი მოსწყურდა გზაზედ ძალიანა, მიეიდა იმ ქალაქში ერთს ბებერთან და წყალი სთხოვა. ბებერმა უთხრა:

— შეილო, წყალს დაგალევენებდი, მაგრამ არა გვაქვს, წყალი გველაშაპს უჭერია, ყოველ დღე თითო ქალს სჭამს და ისე გვაძლევს წყალს წყვითაო. დღეს ჯერი ხელმწიფის ქალისა არის, ის უნდა შექამოსო.

ვაჟმა უთხრა:

— დედა, კოკები მომეც, მე წავალ და მე მოვიტანო.

— ნუ, შეილო, გენაცვალე, — უთხრა ბებერმა, — ის გველაშაპი ჩაგულაბავსო.

ვაჟმა არ დაუჯერა, ამოგლიჯა მიწიდამ საწყლე ქვევრი და წაეიდა. მიეიდა და ნახა შავად ჩაცმული ქალი გულ-ხელ დაკრეფილი

სდგას და ტირის. ისე ტირის, რომ იმის ცოდეით დედა-მიწა იწეოს. ვაჟი მოეიდა და უთხრა:

— დაო, ნუ სტირი, შენ გველაშაპის საჭმელად არ გაგხდი.

ქალმა დაუწყო ვეღრება ვაჟს: — წადი, ძმობას, თორებ ის ვე-შაპი მოვა და შენც ჩაგულაპავს და მეცაო.

— არ წაეალ-კიო და ცოტას-კი დაიძინებ, დალალული ვარ, და როდესაც გველაშაპი მოვიდეს, გამალეიძეთო.

დაიძინა ვაჟმა. ქალი თავს ადგა, და ა ი უცებ ხუეილით მოვი-და ერთი გველაშაპი. ქალმა დაუწყო ღვიძება ვაჟს, მაგრამ ვერ გაალეიძა. ბოლოს დაეცა ქალის სამი ცრემლი ლოცაზედ, ამოსწევა და გაალეიძა. წამოხტა ვაჟი, მოზიდა შეილდ-ისარი და ჰაერშივე გააგლეჯინა შუაზედ გველაშაპი. მერე მიწაზედ ხმლით ეცა და აკეფა. ცალ მხარეს გველაშაპის ლეში იყო აგებული გორებად და ცალ-ზედ ხევად იმისი სისხლი მიდიოდა.

გაეარდა ხმა ქალაქში, გველაშაპი მოჰკლესო. მოვიდა ხალხი და საქონელი წყალზედ, მოვიდა და მოვიდა. დაყმედილი საქონელი და ხალხი ბეერის სმასაგან ზოგნი იქვე კვავებოდნენ, ზოგნი გზაზედ და ზოგნიც შინ მისულები.

მოუეიდა ხელმწიფესაც თავის ქალი შინ. მაშინვე დაუძახა თა-ვის სახელმწიფოს ხელმწიფემ და სურდა გაევო, ვინ გადარჩინა იმის ქალი სიკედილს, რომ იმისთვის შეართო. აუარა და ჩაუარა ქალმა შეერილს ხალხს, მაგრამ ის ბიჭი იქ არ იყო. მამას უთხრა: — მამავ, ის აქ არ არისო.

მაშინვე გაგზავნა ხელმწიფემ კაცები, — წადით, მოიყეანეთ უკუ-ლანი, ვინც არ არის აქაო. წაეტინენ და მოიყეანეს ის ბიჭიც.

ბიჭმა გზაზედ ერთი კურდლელი დაიჭირა, უბეში ჩაისვა და ჯარზედ რომ დაჯდა, კურდლელი უბეშივე ეჯდა. აუარ-ჩამოუარა ქალმა და უნდა, რომ ჩაუჯდეს ვაჟს, მაგრამ ვაჟი ამოუჩენს კურებს კურდლლისას უბიდამ და აშინებს ქალს.

ბოლოს მამამ უთხრა ქალს:

— შეილო, ეფრ იპოვნე?

— ეიპოვე, მაგრამ უბეში რაღაც უზის და ის მაშინებსო.

— წალი, შეილო, თვალები დახუჭე და ისე ჩაუჯექო, — უთხ-  
რა მამაშ.

დახუჭა ქალმა თვალები და ჩაუჯდა ეაქს კალთაში. წამოიყა-  
ნა სასახლეში ვაჟი ხელმწიფებ დიდის ამბით, მაგრამ ვაჟმა ქალი არ  
შეირთო: ლობა ეუთხარი და ეხლა როგორლა მერგებაო.

— მაშ რა მოგცეო? — ჰელმწიფებ.

— შენი არაფერი მინდაო, — უპასუხა ვაჟმა, — ოლონდ ჩემს სამ-  
შობლოში, ჩემს ქვეყანაში ამიყვანეთ როგორმეო.

— მე კი არ შემიძლიან და, რაც ჩემგან იქნება, მოგეხმარე-  
ბიო, — უთხრა ხელმწიფები: — ამა-და-ამ ადგილას ერთს ორბს ბუდე  
აქვს, არწივი არ უყენებს შვილებს, უქამს და თუ იმ არწივს რო-  
გორმე მოაშორებ, ის აგიყვანსო.

მაშინვე აიღებს ვაჟი შეილდ-ისარს და გასწევს ორბის ბუდისა-  
კენ. უცებ დაეშვება არწივი და უნდა დაჭამოს ბარტყები; ამ დროს  
ესერის ისარს ვაჟი გულში და გაავდებინებს, შემოეხევეიან ბარტყე-  
ბი ვაჟს და დაუწყებენ ალერს. ვაჟს ბუდეში დაეძინება.

მოგა ორბი, დაინახავს ბუდეში ვაჟს, გაშლის ბრჭყალებს ამის  
მოსაკლავად, — კიდეც მაგას უქამია ჩემი ბარტყებიო, მაგრამ შეი-  
ლები გადაეფარებიან და შეაყენებენ.

— დედავ, ჩენი კეთილისმყოფელი ეს არის, ამან მოკლა არ-  
წივი და სიკედილს გადაგდარჩინაო.

მაშინვე დაჯდება ორბი და ხან ერთს მხარს აუფარებს ვაჟს და  
ხან მეორეს, რომ არ დასცეს მზეზეო. გამოელეიძება ვაჟს. ორბი  
ეტყვის:

— რა მოგცე, კეთილო კაცო, რომ ეს შვილები გადამირჩინეო?

— მე სხეა არაფერი მინდაო, — ეტყვის ვაჟი, — ზევით ჩემს ქვე-  
ყანაში ამიყვანეო.

— წალიო, — უთხრა ორბმა, — ოთხი კამები გამოართვი ხელმწი-  
ფეს, დასჭერ, დამიწყე, ზედ შენ შემჯევ და მე აგიყვანო.

წავიდა ვაჟი, გამოართეა ხელმწიფეს ოთხი კამერი, წამოიღონ და წამოეიღა. დასჭრა ნაწილ-ნაწილად, დაუწყო ორბს მხარზედ, ზედ თეთონ დაჯდა და გასწიეს. რამდენსაც შემოტრიალდება ორბი, იმდენს ნაჭრს შეაჭმეს ვაჟი. ბოლოს ერთი შემოტრიალდება დააკლ-დათ და გაუთავდა ხორციც ვაჟს; რომ აღარ შეაჭამოს, იქვე ჩავარ-დებიან; აიღო ვაჟმა დი გამოიჭრა ნაკუთალი და ის შეაჭამა. მო-ტრიალდა ორბი და აეიძნენ მაღლა. გადმოხტა ვაჟი და კოჭლობა დაიწყო.

— ბოლოს ღროს ის რა შემაჭამეო? — ჰეითხა ვაჟს ორბმა.

— ჩემი ხორცი იყოვო, — უპასუხა ვაჟმა, — აი აქედამ გა-მოეიჭრიო.

— წინადევე მცოდნიყო, შეგვამდიო, — უთხრა ორბმა.

მოუხევა ფრთა და ისევ გაუმრთელა.

ადგა ვაჟი და წავიდა თავის საცოლისა და იადონ-ბულბულის საძებნელად. ბერი იარა, თუ ცოტა იარა, მოეიდა იქ, სადაც ქო-სა-მეჩონგურეს იმისი ცოლი ჰყავდა. მიეიდა, მოეხეია თავის ცოლს...

— ქოსა-მეჩონგურე სადღა არისო? — ჰეითხა ვაჟმა ქალს.

— ეს სამი წელიწადია სხინაესო, — უთხრა ქალმა ტირილით, — შენ რომ წავართვა ჩემი თავი, მაშინვე დაეძინა და სამი დღე კილევ აქვს ძილის ვადაო.

— როგორ უნდა მოეკლო, — ჰეითხა ქმარმა.

— ცხრა კლიტულში ერთი გალია აქვს, იქ სამი ჩიტი ჰყავს, ის ჩიტები მაგის სული, ჯანი და გონება არის და ეისაც ამის მო-კლა უნდა, ისინი უნდა დახოცოსო, — უთხრა ცოლმა.

შეეიდა მაშინვე ვაჟი ოთახებში, მილეწ-მოლეწა ცხრა კლიტუ-ლი, შევარდა იქ, სადაც ჩიტები ისხდნენ, დაჰლიჯა სამიეს უცებ თავები და გადაყარა. ჩიტების თავების დაგლეჯა და ქოსა-მეჩონ-გურეს ხიკედილი ერთი იყო.

წამოიყენა ვაჟმა ქალიც, იადონ-ბულბულიც და მოეიდა მამას-თან. მამამ ძალიან გაიხარა. დალოცა თავისი შეილი, დაადგა მეფო-ბის გეირგეინი. დაიწერა ქალზედაც ჯვარი ვაჟმა, გადიხადეს დიდი ქორწილი, გაიხარეს და გაგვახარეს... გათავდა თქვენი მტრის დღე.



პ ა ტ ა რ - პ ა ტ ა რ ა

ს ა მ ე ც ნ ი ე რ თ წ ე რ ი ლ ე ბ ი

წ ე რ ი ლ ი მ ე რ გ ე

**Q**აუკიწუარო დაო ასიკო! წერილები დაგიგვიანე, რადგან მე და მასწავლებელი ზაფხულმა ერთმანეთს დაგვამორა. ახლაკი მოხარული ვარ, რომ განვაახლებთ და განვაგრძობთ ჩვენს ბაასს.

მასწავლებელმა მითხრა, — წარსულ ბაასში ჩვენ იმაზე დავდექითო, რომ უმცირეს, უბრალო და წერილმან ცხოველთა და მცენარეთა შორის იმისთვის სხეულები მოითავსიან, რომ უმცენარი კაცისთვის ძლიერ მნელი გასარჩევია, რომელია მათში ცხოველი და რომელი მცენარე. ამ ხელად მე გაგაცნობ თრიოდე შესანიშნავ ცხოველს, რომელიც წელებში და ზღვა-ოკეანებში ცხოვრობენ.


ზღაპრებში ხომ გაგიგონია შვიდ-თავა გველი ანუ ვე-შაპიო, რომელსაც რაძენ თავსაც მოაჭრიდნენ, იმდენი ახლად ამოხეთქდა. მე რომ ეხლა ცხოველი უნდა გაგაცნო, სწორედ იმ ზღაპრულ შვიდ-თავა გველს მოგაგონებსო. მხოლოდ არ-კი გვერნოს, უშველებელი რამ ვემანი იქმოს, არა, ჩვენი გველაშაპი, რომელსაც ჰიდრა ჰქეიან სახელად, სულ დიდი, დიდი, — ერთი გოჯის თდენა იქმოს, მეტი არ იქნება, მაგრამ მაღლიან ოინბაზი რაძენ არისო.

ჰიდრა სცხოვრობს მდინარეებში, ჭდვებში, სადაც ჰელიკონის მცენარეების ფოთლებს ქვემოდეან მიკრობა, განუმორებულად ცხოვრობს იქ და ოცა უნდა მოიკუმშება, ოცა უნდა, მაფის სისხო ტოტებს წეალზედ გაჲვენის ხოლო მეო. ხოგჯერ კიდევ პლატინა-გრუნით ცურვაც იცისო, ან არა და წეალზედ მოცურავ ფოთლებზედ მოიკეცავს ხოლმე და არხეინად დასეირნობს, თითქოს ტივი მოაქვსო.

ჰიდრას რბილი ლორწოიანი ტანი აქვს და აწერილ-დაწერილი, მაფის სასხო მწვანე ტოტები ასხიაო. ამ მწვანე ტოტების გამო გარე შეხედულობით ჰიდრა უფრო მცენარეს ჰგავს, ვიდრე ცხოველსაო.

ჩვენი ჰიდრა ძალიან დორმუცელა რამ არის და მუსოს ავლებს წელის თვალთუხილავ, პარაწეინტელა ცხოველებს და მათ კვერცხ-არყებსაო. პირის გარშემო სხივის მსგავსად შემომწერივებული აქვს წვრილი ფოჩები და ამ ფოჩების იმისთანა თვასება აქვსო, რომ როგორც ჭინჭარი, ისე ისუსხებიანო. ამიტომ ხშირად მოხდება, რომ კაცსაც-კიტანს დაუსუსხავენ ხოლმე, ბანაობის დროსაო.

აი სწორედ ამ ფოჩებით ჸუსხავს ჰიდრა წელის წვრილმან ცხოველებს, პირისებრ იკრავს და ელურწანს გაადებს ხოლმეო. მერე, რასაც ვეღარ მოიხელების, ისევ პირიდგან გადმოჲერისო. ხშირად მოხდებათ, რომ ნადირობის დროს ორი ჰიდრა ერთმანეთს შეეცილებიან



ჰიდრა



სანადიროსათ და ბოლოს იქმდე გამწვავდებიან ხოლმეო, რომ ღონიერი ჰიდრა უღოსოს ჰელაპავსო. როცა ეს ღონიერი ჰიდრა მოუნელებელს საჭმელს პირიდგანვე ამოჰერის, მაშინ ის გადაელაპული ჰიდრა თავის მტრის მუცლიდგან თავს დაახწევს და ისევ არხეინად დაიწევებს ცხოვრებასათ, ვითომ და აქ არაფერი ამბავი უოფილაო.

ჰიდრას სამ ნაირად შეუძლიან გამრავლებაო: კვერცხებით, კოკობით და დაუოფით.

1. კვერცხები ჯერ კანში უჩნდებიან და მერე გარედგან მოესხმიან ხოლმეო. ეს კვერცხები მაგარ პარკით არიან შემოსილი და შემოდგომით, როცა ჰიდრა კვდება, კვერცხებს წეალი დასძირავს და იქ წელის მირას ზამთრობენო, გაზაფხულზევი კვერცხები გამოიჩეკებიან და ჰიდრას ბარტები მამა-პაპურად ცხოვრობენო.

2. ჰიდრას ტანზედ, როგორც მცენარეს, კოკობი მოესხმის ხოლმეო და ამ კოკონებიდგან ნელ-ნელა ახალი ჰიდრა ბარტეობს და შორდება ღედა ჰიდრასო. ზოგჯერ კი ღედა ბარტეს არ იძორებს და ეს ბარტეიც კიდევ კოკობს ისხამს, ბარტეობს და ამ გვარად რამდენიმე თაობა ერთმანეთზეა გადაბმულით.

3. დაუოფით კიდევ აი რა ნაირად მრავლდებაო: რამდენსამე ალაგას რბილ ტანზე ჰიდრას სალტებივით დაანდებაო და ეს სალტები თანადათან უფრო ღრმად ჩადის ტანში, უჭერს და ბოლოს ტანს სრულებით გადასწრისო, და ამ გვარად ერთი ჰიდრა რამდენსამე ჰიდრად გადაიქცევა ხოლმეო.

ახლა, დაო ანიკო, შესანიშნავი ის არის, რომ ჰიდრა

თურმე ვერას გზით ვერ მოისწობა. მასწავლებელმა მიამბო, რომ შეგიძლიან ჭიდრა ტომარასავით გადმოაბრუნო, ესე იგი, შიგნითა კანი გარეთ უუო და გარეთა კანი შიგნით მოუქციოვო და ამით ჭიდრა სულაც არ შეწუხდება და არხეინად იცხოვრებსო. შეგიძლიან ჭიდრა რამდენსამე ნაჭრად გადასჭრაო, და მაინც ვველა ნაჭერი ახალ ჭიდრათ გადაიქცევაო! ეგ კიდევ რაა, შეგიძლიან მხალივითაც და კქმო, მაგრამ,—შენც არ მომიკვდე, —ვველა ნაჭრიდგან მაინც ახალი ჭიდრა გაიზდებაო!

აი დასწუევლოს ღმერთმა! მართლა და იმ ზღაპრის შეიდოთავა გველს ჰეგანებია!

მასწავლებელმა მითხრა, —ეგ რა არისო, დაიცა, ისეთ ამბებს გიამბობ, რომ გაოცებული დარჩეო, —მეც შემდეგი წერილით გაცნობებ, ჩემთ საუკარელო დაო, რასაც მასწავლის ჩემი დაუდალავი მასწავლებელი.

შენი მოსიყვარულე ძმა

ილიჭ



## ა მ ბ ე ბ ი

## ფრინველების ცხოვრებიდან



კი დაგვირდი, დედი, ფრინველებზე კიდევ  
გიამბობთ რასმეო? — გაახსენა პაწაწამ თაეის  
დედას.

— აკი სრულიად გადამაციწყდა, კარგია,  
მომაგონე. დღეს სალამოზედ მოცლილი ეიქმ-  
ნები და, აბა თუ არ გამაჯავრებთ მანამდე,  
ბევრს კარგს რასმე გიამბობთ.

სალამოთი ორი პატარა და-ძმა დედას გარს  
შემოსხდომოდა და დედა უამბობდა.

მტრობა, ჩხუბი ფრინველებმაც იციან, რო-  
გორც ადამიანებმა. აი თქვენ თითონ, ჯერ  
ხომ პატარები ხართ, და რამდენჯერ მოგ-  
დით ხოლმე ერთმანეთში ჩხუბი, კინკლაობა.  
მხოლოდ ეს კია, რომ თქვენ ბრალიან-უბრა-  
ლოზე წაეკიდებით ხოლმე ერთმანეთს და  
ფრინველები-კი თუ გაპბედენ ჩხუბს, — მხოლოდ მაშინ, როდესაც  
უსამართლობით, აეაზაკობით ძლიერ შეაწუხებს ეინმე.

ამასთან ესეც უნდა გითხრათ: ჯაერის ამოყრაში, სამაგიეროს  
გადახდაში ფრინველები ისეთს ჭკუას და მოხერხებას იჩენნ, რომ  
სწორედ გასაკვირველია. აი რამდენსამე მაგალითს გეტყვით.

\* \* \*

ერთ დერეფანში მერცხალმა ბუდე გაიკეთა. მოაშენა ბარტყე-  
ბი, გაზარდა, დააურინა და ბუდეს დროებით თაეი დაანება. მხო-  
ლოდ შემოდგომაზე, როცა ცხელ ქეყუნებში წასელის დრო მოეიდა,

მერცხალმა ერთხელ კიდევ დაპირი თავის ბუდეს, გამოეთხოვა და გაფრინდა, ზამთრის გასატარებლად, სხვა ქვეყანაში.

გაზაფხულზე მერცხალი ისევ მოფრინდა და მონახა თავისი ბუდე. მიერიდა, მიეკიჭია, მიესალამა, მაგრამ რა ნახა? ბუდეს სხვა დაპატრონებია. მერე ვინ? ჩევნი გაიძერა, მუქთა-მჭამელა ბელურა ჩიტი: დაუნახავს, რომ ბუდეში არაეინ არისო, შესულა, ბატონი, და მოუკალათნია, ვითომიც აქ არაფერიაო.

— მმობილო, შენც ხომ კარგად იცი, რომ ეგ სახლი ჩემი აშენებულია, და გეოუკა დამიტალე, ჩემ ცოდოში ნუ ჩასდგები. ებლა, შენც იცი, მე დამჭირდება და აბა ახალს სად მოეასწრობ, — ასე მოყვრულად ელაპარაკებოდა მერცხალი ჭიეჭავს.

ქურდ-ბაცაცა ბელურამ ხმის გაცემაც არ აკადრა. დალონებული მერცხალი გაფრინდა, იპოვა მეგობარი და ამას შესჩიელა თავის უბედურება. მოეიდნენ ორივენი ბელურასთან, ბეერს ემუდარნენ, ეხევწნენ, მაგრამ ბელურამ მაინც ხმა არ გასცა.

— ჭიეჭავო, თავს პატივი ეცი, თორემ ენახოთ, რაც მოგივა! ახლა-კი გულმოსულმა უთხრა მერცხალმა.

ჭიეჭავი პასუხის მაგიერ, მხოლოდ აიბურძგნა და ნისკარტი გააღო, თითქოს ეუბნებოდა: აბა მობძანდით და მეც აქ დაგიხედებითო.

ახლა მთელი ერთი გროვა მერცხალი მოფრინდა, ჯერ შორიან ახლოს დასხდნენ და გაცხარებული ჭიეჭავი შეუდგათ, თითქოს რჩევა აქვთო, რა მოეუხერხოთ ამ აეაზას, რომ ბუდე დავაულევინოთო.

გაიძერა ბელურა მიხედა, ეტყობა, რომ კარგს არაფერს უპირებდნენ, მაგრამ მაინც ყურს არ იბერტყდა. განა არ ჰქოდა და, რომ კარგ საფარში იყო, რისი შეეშინდებოდა...

აგერ მიფრინდა რამდენიმე მერცხალი და ბელურას გარედგან მუქარას უთელიდნენ, ზოგმა თავიც შეყო ბუდეში და კორტნა დაუწყო შიგ მომწყვდეულ ჭიეჭავს. ბელურა გაბუებული, აქოჩილი იჯდა არხეინად და თავეგასულს მერცხალს ისე მაგრად ურტყამდა თავში თავის ნისკარტს, რომ სხვები ახლო მიკარებასაც ვეღარ ჰგე-



დაედნენ. რამდენსამე ხანს მერცხლებს ასე იერიში მიჰკონდათ, მაგრამ შერცხვენილები უკანა ბრუნდებოდნენ.

ეს ამბავი მოხდა იტალიაში. იმ სახლის მდგმურნი, სადაც ეს ამბავი იყო, თვალ-ყურს ადევნებდნენ მერცხლებისა და ჭიეჭავის ოშე და ძლიერ გაუკეირდათ, როდესაც უცბათ მიწყნარდა იქაურობა, აღარც მერცხლები მოდიოდნენ და აღარც ბელურა ჩანდა.

რა მოხდაო, იფიქრეს და ავიდნენ ბუდის გასასინჯად. ავიდნენ და რა ნახეს? ბუდეს პირი აღარსად უჩანდა, სულ ტალახით იყო გადალესილი. დაშალეს და რა დაინახეს? საბრალო ბელურა უსულოდ-კი ეფლო შიგ.

ხომ მიხედით, რაც მომხდარიყო? რაკი მერცხლებმა ვერა გააწყეს რა და ბელურა ბუდიდვან ვერ გამოაგდეს ძალით, აიღეს და ხერხი იხმარეს. არ იშლი შენს ავკაცობასაო, — უთხრეს გაბრაზებულმა მერცხლებმა, — და ჰქალადობ კიდეცაო, მაშ აი შენისთანა აეაზას ასე უნდა მოექცენო, — ამოულესეს ბუდეს პირი და შიგ ამოაღნეს.

— საწყალი ჭიეჭავი! როგორ მოუკლაეთ! მე კი მეგონა, დედა, რომ მერცხლები ისეთი კარგები არიან-მეთქი, — სთქეა პაწაწა ქალმა.

— მართალია, შეილო, მერცხლები არ მოქცეულან კარგად, მაგრამ არც ბელურა ყოფილა წმინდა სულისა: სხეის სახლს დაეპატრონოს და პატრონს თაეშიაც სცემდეს, ეს სწორედ რომ დიდი უსამართლობა და თაე-გასულობაა. შენ, მეონი, ერთი ვაშლიც რომ წაგართონ, იმაზედაც ერთ ამბავს დაწევ, და საწყალ მერცხალს რაღა ექმნა... აი კიდევ მეორე მაგალითს გიამბობთ და აქაც დაინახაეთ, რომ ფრინველები დამნაშავენი არ არიან, თუ ხან-და-ხან აეკაცობას ჩაიდენენ ხოლმე.

\* \* \*

ერთ სოფელს ახლო, ჭალაში ჯგუფად რამდენიმე დიღრონი ხე იდგა. ამ ხეებზე კაჭკაჭებმა ბუდეები გაიკეთეს და ბარტყები გამოიყენეს. მშობლები დაპაროდნენ და ზრდიდნენ თაეიანთ პაწია ბახალებს. აკი როგორლაც მოხდა, რომ ერთმა მსუნავმა კატამ გა-

მოისეირნა ამ ჭალაში. დაინახა ხის ძირას ერთი ჩამოეარღინილი ბახალა და თუმცა საწყალი მშობლები ზედ ევლებოდნენ და თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ მაინც მსუნაგმა ციცამ მხოლოდ თეალები დახუჭა სიამოენებით და პატარა კაჭკაჭი მუცელში ჩაალაგა.

რაკი ერთხელ გემო გაიღო, შემოეჩერა ამ ალაგს და სიმსუნა-გით თავ-გასიებული ყოველ დღე მობძანდებოდა ხოლმე. ახლა ძირს ჩამოეარღინასაც ალარ უცდიდა; რად შეგაწუხოთო, მე თითონ გიანლებით მანდ ხეზედაო,— მე ეიცი, ხეზე ასელა გაუჭირდებოდა!... და-დიოდა ესე ყოველ დღე და ააოხრა საწყალ კაჭკაჭების ბუდეები.

გული ეწოდათ მშობლებს, მაგრამ ცალკ-ცალკე შებრძოლებას და შებმას კატასთან მაინც ეერ ჰედავდნენ, — ეტყობა, ესინჯათ ციცას ბრკუალები. კატამაც ნამუსზე ხელი აიღო და თითქმის იქა-ურობა სრულიად გააწყო, კაჭკაჭებმაც ვეღარ გაუძლეს ასეთს უსი-ნიდისობას, გულ-დაწყვეტილები შეიკრიბნენ ერთად და ერთი ჩოქ-ქოლი, ჟივილ-ხივილი შეუდგათ, ხან მაღლა აფრინდებოდნენ, ხან ისევ დაბლა ჩამოვიდოდნენ.

ავერ ციცაც გამოჩნდა. წყნარად, დინჯად, ფრთხილად ადგამდა ფეხებს, ოდნავ კუდს იქნებდა, ულეაშებს ათამაშებდა და პირს აცმაუ-ნებდა: იქნება იმაზედ ფიქრობდა, რა გემრიელი საუზმე მომელისო, და წინადევ სიამოენებით პირს იმტკბანურებდა... მაგრამ ერთბაშად, მოულოდნელად დაესწენ კაჭკაჭები ჟივილ-ხივილით და ჩეენი, ტკბილ ოცნებაში გართული, ციცუნია ჰაერში ასწიეს.

მორთო მხდალმა კატუნიამ საშინელი ჩხაეილი, საცოდავად ქნაოდა, მაგრამ ეინ იყო შემბრალებელი: კაჭკაჭებს უფრო მაღლა და მაღლა მიჰყეანდათ. ბოლოს, კარგა მაღლა რომ აიყანეს, მია-ნებეს კატას თავი. წამოეიდა საწყალი ციცა ძირს თავდაყირამალა შურდულის ქვასავით და სწორედ ძელებსაც ვეღარ ჩამოატანდა მთლებს, რომ ამის ბედზე წყალი არ დაჰქვედროდა და რბილად არ დაცემულიყო.

ძლიერ როდის-როდის გონს მოეიდა, და დასველებული, კუდ-ამოძუებული ძლიერს მიღონლილდა შინ. ის იყო და ის: — კატამ ჭამა



ძეხეიო და ამოიკეთა ფეხიო, — ამისი არ იყოს, მას დღეს უკან  
კატამ მართლა ამოიკეთა ფეხი და კაჭაჭის ბუღებისკენ აღარ  
მიუხედნია.

\* \* \*

კაჭაჭმა რომ ასეთი ხერხი მოიგონას; გასაკეირველი არ არის:  
ყველამ იცის, რომ კაჭაჭი გონებიანი, მოხერხებული, ეშმაკი ფრინ-  
ველია. მაგრამ ენ დაიჯერებდა, რომ ბატსაც მოხერხება, მოსაზრე-  
ბა შეეძლებოდა, იმ ბატსა, რომლის უკუკუობა, უტვინობა ყბად არის  
აღებული. ეკრე თქვით და აბა ყური დამიგდეთ!

ერთი ბატი დაკოჭლდა და შინ ეგდო, სხვა ბატებთან მინდორ-  
ში ვეღარ მიდიოდა. დაიბრიყეა საწყალი კოჭლი ბატი მამალმა და  
მოსკერებას აღარ აძლევდა. აქამ და საწყალი ერაფერს მიშერებაო,  
მამალმა ყოყოჩიობა დაიწყო და გაელაზე თუ გამოელაზე თაეში  
უტყაპუნებდა საწყალს ბატს. ისეც თხელ-ტვინას, თავი უფრო გაუ-  
ლაყდა კოჭლს ბატს. ადამიანს ისე ეგონებოდა, ბატი გულში არც-კი  
იცლებს მამლის ასეთს თავეასულობასაო, და ის კი არა თუ, ეს კოჭლი  
სულ გულში იტრიალებდა ჯავრს და იმს ფიქრობდა, რომ ერთხელ  
როდისმე ერთბაშად გადაეხადნა სამაგიერო.

ფეხი მოურჩა ბატს, ცოტა ჯანზედაც მოეიდა. მამალმა თავისი  
არ დაიშალა და აი ერთ დღეს კიდევ გაუმართა ბატს ჩხუბი. დაჩა-  
ვრულმა ბატმა ხანხალით წყლისაკენ გასწია. გამარჯვებული, გაყო-  
ყოჩებული მამალი უკან დაედევნა...

თურმე ნუ იტყვით, — აკი ეს კოჭლი ხანხალა ეშმაკობით არ  
გაიქა წყლისკენ, თურმე მამლის გატყუება უნდოდა. და აი რაკი  
მამალი მიეიდა წყალთან, ბატი უცბად მოტრიალდა, გაბრაზებულ-  
მა დაისისინა, სტაცა პირი მამალს კისერში, ერთ წამში მიათრია  
წყლის პირას, წყალში თავი ჩაუყო და ესე ეჭირა იმდენს ხანს, მა-  
ნამ მამალი არ დაიღწო.

ესეც ბატის ტვინი!...

ახლა-კი გავათავოთ; ამ ხანად ესეც კმარა, სხვა შემდეგისთვის  
დარჩეს.

## ჭ ე რ ა პ ლ ი

(შემდეგი\*)

 ყო მეფე ელიდისა (ელიდა საბერძნეთის ერთს ნაწილს ერქვა), სახელად აევას, რომელსაც ჰყავდა მრავალი ნახირი. იმის ხარ-ძროხასა და ცხეარს ანგარიში არა ჰქონდა. სამასი ხარი ჰყავდა იმისთანა, რომელთაც ფეხებზე, როგორც თოვლი, ისეთი თე-თრი ბალანი ესხათ, და თორმეტი მთლად თეთრი, როგორც გედი. ეს თორმეტი ხარი შეწირული იყო ჰელიოს\*\*) ღმერთის სახელობაზე. ერთი ხარი სულ ვარსკვლავიერ ბრწყინვადა და სახელად ერქვა ფაერონი.

დიდი ბაკი, სადაც ეს საქონელი იყო ხოლმე ღამით დაბინავებული, მრავალ წლების განმაელობაში ისე იყო აესებული ნაგავით, რომ მის გაწმენდას ხორციელი ვერავინ იფიქრებდა. ევრისთემ უბრძანა ჰერაკლის, წადი და ავგეასის ბაკი გაწმინდე ერთის დღის განმაელობაშიო.

ჰერაკლი გამოცხადდა აევასთან და ჰეროებთან:

— ჩას მომცემ, ერთს დღეში ისე გაეწმინდო შენი ბაკი, რომ სთქვას კატა, აქ თავის დღეში ნაგავი არ ყოფილა? მომცემ თუ არა შენი ნახირის მეათედს, ეს პირობა რომ აგისრულოვო?

\* ) ნახე „ჯეჯილი“-ს მე-IV №-რი.

\*\*) ჰელიოს იყო ღმერთი მზისა, რომელიც განაგებდა მზის ეტლის მსვლელობას: დილას ამოვიდოდა იგი ოკანითგან აღმოსავლეთის მთარეზე, რომ წაეყვანა მზის ეტლი, რომელშიაც შებმული იყვნენ ცეცხლ-მფრქვეველი ტენები. ეტლით გაივლიდა ცაჲე დანიშნულს გზას, სალამის დაეშვებოდა ძირს დასავლეთისაკენ და ოკანეში ჩაესვენებოდა. მერე ჩაჯდებოდა პატარა ოქროს ნაფში ღამით, შემოუვლიდა დედა-მიწის ჩრდილოეთ ნაწილს და დილისაოვის ისევ დაბრუნდებოდა აღმოსავლეთისაკენ, თავის მშვენიერს სასახლეში.



აეგეასი დაეთანხმა. მაშინ ჰერაკლიმ ამოთხარა ღრმად არხი, მიიყვანა ბაკის კედლამდის; მერე გაარღვეა კედელი ორს ალაგს და გადმოიყვანა არხში ორი მდინარე. დატრიალდა ბაკში წყალი და ერთს დღეში ისე გარეცხა ბაკი, რომ ერთი ნამცეცი შიგ აღარაფერი დარჩენილა.

ამ გეარად შეასრულა ჰერაკლიმ თავისი პირობა, მაგრამ აეგეასშა უმტკუნა მას და აღარ მისუა დანაპირები. თუმცა ძალიან საწყენად დაურჩა ჰერაკლის აეგეასის უპირულობა, მაგრამ მაშინ ხმაც არ ამოულია ამაზე; მხოლოდ ბოლოს, როდესაც შეასრულა ეერისთესაგან დავალებული თორმეტი სარჯელი, დაუბრუნდა მას, გაუმართა ომი და მოკლა იგი.

7. მეშვიდე გმირობა ჰერაკლისა იყო კრიტის კუნძულიდგან კუროს მოყვანა. კრიტის კუნძულზე იყო ერთი აეი მოზევერი ხარი, რომლის შიშით მთელი ხალხი ცახცახებდა. ეერისთემ უთხრა ჰერაკლის, თუ კაი ვაჭყალი ხარ, წადი და ის კურო მომგვარეო. ჰერაკლი ჩაჯდა ხომალდში და გაემგზავრა კრიტის კუნძულზე, მანოს მეფის საბრძანებელში. მინოს მეფემ დიდის სიხარულით ნება დაპროთ და უთხრა, ოღონდ-კი დაიჭირე და არ გიშლი, საღაც გინდა, იქ წაიყვანეო. ჰერაკლიმ წავლო კუროს რქებში ხელი, შეათრია ხომალდზე და მიჰვეარა ეერისთე მეფეს. ეერისთემ ეს კურო გაუშვა მის ნებაზე და ამით დიდი გაჭირვება დააყენა მთელს ქვეყანას. კურო გაგიყებული დაბორდა საბერძნეთში, აფუჭებდა ხალხის ნაჭირნახულეეს და უწყალოდ ჰელეტდა ადამიანებს. ეს ის კურო იყო, რომელიც თეზეოსმა დაიმორჩილა.

8. ამას შემდეგ ჰერაკლიმ მიიღო ბრძანება და გაემგზავრა ფრაკიაში, საღაც იგი შეება იქაურ მეფეს დიო მედს, მოსტაცა ამას კელური ცხენი, რომელიც ადამიანებსა სჭამდა, და მიჰვეარა ეერისთეს დაშვიდებული.

9. ამნაირადევ გაიმარჯვა მან ამაზონელების დედოფალზე, ჰეპ-პოლიტაზე. ამაზონელებს ეძახდნენ ხალხს, რომელიც სულ დედა-კა-

ცებისაგან შესდგებოდა. ეს ხალხი ძალიან მამაცი ხალხი იყო მართვის მიზანით. ზონელებმა იცოდნენ კარგი ცხენოსნობა და ისე ხმარობდნენ ომში იარაღს, როგორც კარგი ვაჟუაცები. ისინი სცხოვრობდნენ, ახლა რომ აზოვის ზღვა არის და მდინარე დონი, იმათ ნაპირებზე. იმ დროს ამაზონელებს ჰყავდათ დედოფლად ჰიპოლიტა, რომელსაც ჰქონდა ძეირფასი ქამარი, შემყული ოქროთი და მარგალიტებითა. ერთხელ ეერისთვეს ქალმა ინატრა, ოჯ, ნეტავი ის ქამარი მაშოენია, ჰიპოლიტას რომ აქვსო! მეფემ მაშინევ უბრძანა ჰერაკლის: აბა ჰე, წადი დაუყონებლივ და ის ქამარი მოიტანეო.

ჰერაკლიმ გამოიწვია საბერძნეთის სახელოვანი გმირები, შეაგროვა ლაშქარი, ჩასხა ხომალდში და გაემგზაერა. გაიარეს შავი ზღვა, მიერიდნენ ამაზონელების ქვეყანაში და იქ, მათი სატახტო ქალაქის თელი ისკირა ს მახლობლად, დაბანაკდნენ. როდესაც გაიგეს ამაზონელებმა, რისთვისაც იყო ჰერაკლი იქ მისული, დიდი უარი გამოატადეს. ამაზე შეექნათ გატხარებული ბრძოლა. ამაზონელები ცხენ-და-ცხენ იბრძოდნენ, ჰერაკლი და მისი ამხანაგები-კი ქეეითად. ისეთი გაჭირება დააყენეს ამაზონელებმა ბერძნებს, რომ მათი გამარჯვება შეუძლებელი იქმნებოდა, თითონ ჰერაკლი რომ არ ყოფილიყო იქ. ბეერი სახელგანთქმული ამაზონელი დაამარცხა ჰერაკლიმ. ბოლოს იძლიერნენ ამაზონელები და გაიქცნენ. დედოფლალი ჰიპოლიტა ტყვედ შეიპყრეს. მაშინ იგი ძალა-უნებურად დასთანხმდა ქამრის მიცემას და განითავისუფლა თავი ტყვეობისაგან. ჰერაკლიმ წამოილო ქამარი და გამოსწია საბერძნეთისკენ.

ეს იყო მეცხრე გმირობა ჰერაკლისა.

დარჩა კიდევ ასახულებელი სამი სარჯელი და თითოეული მათგანი ისეთი ძნელი რამ იყო, რომ ეერისთვე დარწმუნებული იყო, ჰერაკლი ცოცხალი ვერ გადურჩება ერთ-ერთს ამ სარჯელსო, მაგრამ ჰერაკლი უშიშრად ეგებებოდა ყოველს მის ბრძანებას და ერთხელაც იმედი არ დაკარგვია გამარჯვებისა.

10. ეერისთემ გაგზავნა იგი გერიონ მეფის ხარების მოსარევად. ჰისპანიის მახლობლად არის კუნძული, რომელსაც ძევლად ერითი იის



კუნძულს ეძახდნენ. აქ იყო კარგი საძოვრები და მრავალი წანის იმწევოდა დევ-გმირისა. ამ ნახირში იყენენ შშეენიერი ხარები, რომელთაც წითელი ბალანი ესხათ ტანზე. ხარების მცველად იყო გმირი ეკრითიონი, რომელსაც ჰყავდა ნახირში საშიშარი ძალი თრთი. თრთს თრი თავი ება და ისეთი ღონიერი იყო, რომ ერთსა და იმავე ღრის თრს მგელს შეებმოდა ხოლმე და თრივეს ლუკმა-ლუკმა ჰგლეჯდა. თითონ გერიონი შეტყუპებული იყო სამის გმირისაგან: სამი თავი ება, ექვსი ხელი და ექვსი ფეხი.

წაეიდა ჰერაკლი ერისთეს ბძანების ასასრულებლად. ეინ იცის, რამდენი იარა და რამდენი შეწუხება აიტანა, სანამ დანიშნულს ალაგს მიაღწევდა. საბერძნეთიდან წაეიდა აფრიკაში, (რომელსაც სულ ჭელად ლიბიას უწოდებდნენ), გაიარა დიდი უდაბური აღილები და ხანგრძლივ მოგზაურობის შემდევ მიეიდა იქ, სადაც ახლა გიბრალტარის სრუტეა. აი ამ ალაგას, როგორც ამბობენ, ნიშნად თავის შორეული მოგზაურობისა, ჰერაკლიმ აღმართა სრუტეს გალმა-გამოლმა ნაპირებზე თრი დიდი კლდე, სკეტების მსგავსად. მას შემდევ დაერქეა ამ კლდეებს სახელად ჰერაკლის ანუ ჰერკულესის სკეტები.

აფრიკაში ძლიერ ცხელა: ჰერაკლი მეტად შეაწუხა სიცემ და გაჯაერდა, როგორ თუ ჰელიოს ღმერთი ასე დაუახლოვდა თავის ეტლით დედა-მიწას და სწეავს ყველაფერს ო! უთხრა:—ჩამომეცალე, ჰელიოს, ნუ მაწუხებ სიცხით, თორემ ისარს გტყორუნიო.

მართლაც მოზიდა მშეილდი და სროლა მოუნდომა, მაგრამ ღმერთს აბა რას დაკლებდა! ჰელიოს მოეწონა ჰერაკლის მამაკუბა და ათხოვა მას თავისი ოქროს ნაეი, რომ იგი ზღვით მისულიყო ერითოის კუნძულზე. ჰერაკლი ჩაჯდა ჰელიოსის ნაეში და მიეიდა გერიონის სამფლობელოში. იქ მოკლა მან ძალი თრთი, მოკლა აგრეთვე მწყემსი ეკრითონი, მერე გამოირეკა ხარები და წამოვიდა.

გერიონშა რომ გაიგო ეს ამბაეი, განრისხდა და გამოუდგა უკან ჰერაკლის, მაგრამ ტყუილად: ჰერაკლიმ სტყორუნა მას ისარი და

იქვე სული დაალევინა. მერე გამოიარა ჰისპანია (ძეელად იბერია), გადმოიარა პირინეის მთები და შემოვიდა გალლების ქვეყანაში (საფრანგეთში). აქ გზა გადუღობეს მას ლიგურიელებმა, რომ წაერთმიათ ხარები; მშეილდ-ისრებით შეიარაღებულნი დაუხედნენ წინ ჰერაკლის და გამართეს მასთან ბრძოლა. ვისაც-კი ხელი წააელო ჰერაკლიმ, მიწაზე სული არ დაუყოლებია, და სხეებს, რომელნიც შორიდვან ებრძოდნენ, ისრებით დაუბნელა დღის სინათლე. მაგრამ მტერი იმდენად ბევრი იყო, რომ ბოლოს ისრები შემოაკლდა ჰერაკლის და ძალიან ცუდად იქმნებოდა მისი საქმე, თუ მამა არ მიჰშეელებოდა.

ზევეს ღმერთმა დაინახა საყვარელი შეილის გაჭირვება და მოაკლინა ქის წევია, რომელმაც ბევრი ლიგურიელი იმსხვერპლა. თითონ ჰერაკლიმაც ბევრს გაუტეხა თავი ამ ქვებით. ახლაც არის თურმე საფრანგეთის ერთ მაზრაში მინდორი, სადაც ბლომად ყრია ქვები და რომელსაც ეწოდება კრო.

ლიგურიელებზე გამარჯვებულმა ჰერაკლიმ გადმოიარა ალპის მთები, გამოიარა იტალია, მოვიდა საბერძნეთში და მოპევარა ხარები ბოროტს ევრისთეს.

11. მეთერთმეტე სარჯელი, რომელიც დაუნიშნა მეფე ეერისთემ ჰერაკლის, იყო ჰესპერიდების ვაშლების პოენა. როდესაც ჰერა და ზევესი დაქორწინდნენ, ჰერამ აჩუქა თავის მეუღლეს რამდენიმე ოქროს ვაშლი. ამან ეს ვაშლები აიღო და ჩაფლა მიწაში ერთს მშვენიერს სუნელოვანს ბალში, რომელიც ეკუთხნოდა ნიმფებს – ჰესპერიდებს \*). ამ ვაშლებისაგან ამოვიდა ხეები, რომელიც ისხამდა ოქროს ვაშლებს. ნიმფებს დაყენებული ჰყავდათ ბალში მცველად ას-თავიანი გველაშაპი, რომ ვაშლები არაეს მოეტაცნა. ჰერაკლიმ ასავალ-დასავალი არ იცოდა ჰესპერიდების ბალისა და წავიდა საძებრად. აქ მიეიდა, იქ მიეიდა, ყოველგან კითხუ-

\*) ნიმფები იყენენ დედა-ღმერთი, ქალწული, ითვლებოდნენ ზევეს ღმერთის ქალიშვილებად და ცხოვრობდნენ ბარად და მთებში, ქალებში, მდინარეებში, წყაროებში და ტბებში.



ლობდა, სად უნდა იყოს ჰესპერიდების ბალიო, მაგრამ უერაფერი ვერ გაიკელია.

ბოლოს კავკასიაში მოეიდა. აქ ნახა დიდი უზარ-მაზარი მთები, რომელზედაც ადამიანს ასვლა არ შეეძლო. ამ მთებში, ერთს მა-ლალს კლდეზე, მიჯაჭული იყო გმირი პრომეთეოს, რომელიც ზევეს ღმერთმა დასაჯა მისთვის, რომ მან ზევესის უნებურად ზე-ციდგან ცეცხლი მოიტაცა, მისცა ადამიანებს, ასწავლა მათ სხვა-და-სხვა ხელობა, სხვა-და-სხვა მეცნიერება და გამოიყენა ისინი ველუ-რი მდგომარეობიდგან.

საშინელს ტანჯვაში იყო პრომეთეოს: ყოველ დღე მოფრინ-დებოდა ხოლმე მასთან არწიეთ, გამოჰკორტნიდა მას გულ-ლეიძლს და ისევ გაფრინდებოდა. თუმცა ლამით ხელ-ახლად გაუმრთელდე-ბოდა გმირს გამოწიწნილი გულ-ლეიძლი, მაგრამ წყეული არწიეთ თავს არ ანებებდა. ამ ტანჯვაში იყო პრომეთეოს უხსოეარის ღროიდგან.

შეებრალა ჰერაკლის ტანჯული გმირი და სოხოვა თავის საყვა-რელს მამას, ნება მომეც, ცუშველო პრომეთეოსსაო. ზევესმა შეი-წყნარა შეილის ვეღრება. მაშინ ჰერაკლიმ სტყორცნა არწიეს ისარი და მოკლა. შემდეგ მძლავრი მყლავებით გაგლიჯა ჯაჭვი, რომლი-თაც შეპყრობილი იყო პრომეთეოს, და განათავისუფლა იგი. სამა-გიეროდ პრომეთეოსმაც კაი სამსახური გაუწია ჰერაკლის: ასწავლა მას, საითყვნ უნდა წასულიყო ოქროს ვაშლების საძებნელად და რა საშეალებით უნდა ეპოვნა.

დასავლეთის მხარეს, ძლიერ შორს, სადაც თავდება ხმელეთი და ოკეანე-ზღვა იწყება, ცხოვრობდა ერთი გოლიათი კაცი, სახე-ლად ატლანტი, რომელიც თავის მხრებით ბოძად შესდგომოდა ცას, რომ ცა ძირს არ ჩამოვარდეს დედა-მიწაზეო. (აქედგან მიიღო სახელწოდება დასავლეთის ოკეანემ, რომელსაც ახლა ეწოდება ატ-ლანტის ოკეანე).

ატლანტი იყო ძმა ჰესპერიდების მამისა, ესე იგი ბიძა ჰესპე-რიდებისა და, რასაკვირველია, ოქროს ვაშლების ამბავი კარგად

იცოდა. აი ამ გმირს მიჰმართა ჰერაკლიმ, რომ დახმარებოლა დაშვებული სანატორიული გაშლების პოვნაში. ატლანტმა უთხრა: კარგი, გაშლებს მე გიშვენი, მხოლოდ შენ ერთი საქმე ჰქენი—ეს ტვირთი ჩამომართვი ცოტა ხნობითაო. ჰერაკლი იმ წამსვე თანახმა განდა და შეუდგა ცას თავის მძღვარი შხრებით. მაშინ ატლანტი წაეკიდა ჰესპერიდებთან. ჰერაკლის თითონაც შეეძლო წასელა და გაშლების მოტაცება, გველაშაპის სულაც არ შემინებია მას, მხოლოდ არ უნდოდა ძალით გაშლების წართმევა, რომ ამისთანა საქციელით ზევესი არ გაერისხებია. ჰესპერიდებმა მისცეს თავის ბიძას გაშლები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს გაშლები ისევ უკან დაპირუნებოდათ.

როდესაც ატლანტი დაბრუნდა და მოიტანა ოქროს გაშლები, უთხრა ჰერაკლის:

— ცოტა ხანს კიდევ დაიჭი ცა და შენ მაგიერათ მე წაეკიდე ამ გაშლებს და მიეუტან ევრისთესაო.

— ძალიან კარგიო,—უპასუხა ჰერაკლიმ,—მაგრამ ერთს წუთას-კი ჩამომართვი: მეტად მძიმე ტვირთია და მინდა ბალიში დაეიდო მხარზე, რომ მხარი არ მატყინოსო.

ატლანტს მართალი ეგონა და ისევ შეუდგა ცას. როგორც-კი შეუდგა, ჰერაკლიმ მოჰკიდა ხელი თავის მშეილდ-ისარს, აიღო გაშლები, უთხრა ატლანტს:—მშეიდობით ბძანდებოდეთ!—და გაუდგა გზას საბერძნეთისკენ. ევრისთეს რომ მიუტანეს ოქროს გაშლები, დაპატრონება მოინდომა მათი, აღარ უნდოდა დაბრუნებია ჰერაკლისათვის, მაგრამ იფიქრა, ვაი თუ ზევესი გამირისხდეს და დამსაჯოს ჰერაკლის ხელითაო; ამიტომ აიღო გაშლები და მისცა ჰერაკლის. ჰერაკლიმ ეს გაშლები შესწირა ათინა ღმერთს და ათინა ღმერთმა ისევ ჰესპერიდებს დაუბრუნა.

12. მეთორმეტე სარჯელი კიდევ უფრო ძნელი და საშიშარი რამ იყო. თუ ამასაც აასრულებდა ისე, როგორც სხვები აასრულა, მაშინ ჰერაკლი სრულიად თავისუფალი განდებოდა; ევრისთეს აღარაფრის ბძანების ნება აღარ ექმნებოდა. არც ამ სარჯელს შეუშინდა ჰერაკლი. ახლა ენახოთ რაში მდგომარეობდა ეს სარჯელი.



ევრისთემ უბძანა მას, ახლა ქვესკნელში ჩადი, სადაც შეფომს ჰაიდეს ღმერთი და იქითგან ცერბერი მომგვარეო. ცერბერი იყო სპილოს ოდენა საშინელი სამ-თავიანი მხეცი, ძალლის მსგავსი. კუდის მაგივრად მას ება დიდი გველაშაპი; კისერზე ფაფარი ჰქონდა, რომელიც, მაღნების მაგივრად, გველებისაგან შესდგებოდა. ეს მხეცი იყო ჰაიდესის სამეფოს კარების მცველი.

ჰერაკლი წავიდა ტენარის კონცხზე (საბერძნეთის ნახევარ კუნძულის კლიდის ცხეირი), სადაც ბევრი გამოქვაბული და ნაპრალია. ამ გამოქვაბულებითგან შეიძლებოდა ქვესკნელს ჩასვლა. აქ ჩაეშვა ჰერაკლიც. წინ უძლოდა მას ჰერმეს ღმერთი, რომელიც იყო მიცვალებულების გზის მაჩევნებელი. იარა, იარა და მიეიდა სტიქსის მდინარეზე, რომელიც გარს უელის ჰაიდეს ღმერთის სამფლობელოს. ხიდი თუმცა არ იყო ამ მდინარეზე, მაგრამ იქ იყო მენავე ხარონი, რომელსაც ნაეით გაჰყავდა ხოლმე ამ მდინარეზე მიცვალებულთა სულები. ხარონი ჯერ უარზე დადგა: მეტად მძიმე ხარ, ჰერაკლო, და ჩემი ნაეი ვერ გზიდაქსო. მაგრამ ჰერაკლისთან აბა უარი როგორ გაუკიდოდ! ჩაისვა გმირი ნაეში და გაიყვანა მეორე ნაპირზე. ამ სახით შესდგა ჰერაკლიმ ფეხი ქვესკნელში. სხვა რომ ყოფილიყო ეინმე, ჰერაკლის ალაგას, ცერბერი მას თვალის დახამხამებაზე შუაზედ გაჰკლევდა, მაგრამ ჰერაკლი როდესაც დაინახა ცერბერმა, შიშისაგან ყმუილი დაიწყო, გაიქცა და ჰაიდესის ტახტ ქვეშ შეძერა.

მოუხახლოვდა ჰერაკლი ჰაიდესის ტახტს. ჰაიდესმა და მისმა მეუღლემ პერს ეფონამ სიხარულით მიიღეს იგი და უთხრეს, ნებას გაძლევთ წაიყვანო ცერბერი, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ იარალი არ იხმარო, ისე დაიმორჩილო და შემდეგ ისევ ჩვენ მოგვიყვანო აქ, ქვესკნელშით.

ჰერაკლიმ ჩაიცვა აბჯარი, მიეიდა ცერბერთან და მოხეია მაგრად ხელები სამკეც კისერზე. ამ ღროს გველაშაპმა და ფაფრის გველებმა კბენა დაუწყეს ჰერაკლის, მაგრამ ჰერაკლიმ ისეთ ნაირად მოუჭირა ხელი, რომ კინალამ დაახჩო ცერბერი. მაშინ ცერბერი დაემორჩილა.

წაიყვანა გმირმა ეს საოცარი მხეტი, გამოიარა ათას ნაირად დახლართული გზა ქვესქნელისა და ამოვიდა ქვეყნად. როგორც-კი დაინახა ცერბერმა დღის სინათლე, მაშინვე ცოფი მოუკიდა, პირი-დგან დორბლი გადმოყარა და სადაც-კი ერთი წევთი დაეცა, იქ ისეთი ბალახები ამოვიდა, რომელიც სწამლავდა ადამიანს.

ცერბერის დანახეამ ყველას თაეს ზარი დასცა. ევრისთე კინა-ლამ ჰყუიდგან შეიშალა, როდესაც გაიგონა ცერბერის საზარელი ყმუილი და დაინახა მისი კუდის და ფაფრის კლაკვნა; შიშისაგან აკანკალებული მაშინვე გაიძცა და დაიმალა.

ჰერაკლიმ, როგორც პირობა ჰერანდა მიცემული, ცერბერი უკანვე წაიყვანა და ჩააბარა ხარონს, რომელმაც გაიყვანა სტიქსის მდინა-რეზე და გაუშეა ჰაიდესის საბძანებელში.

\* \* \*

შეასრულა ჰერაკლიმ თორმეტი სარჯელი და მორჩა. მაშერალს მოსეენება სწყუროდა და წავიდა ქალაქს თებეს თაეის ოჯახში, რომ იქ შეუძროდ ეცხოვრა. მაგრამ ზეესის ნება იყო, რომ ჰერაკლი მუუ-დრო ცხოვრებას არ მისცემოდა: მისთეის მივეცი მას ძალ-ლონე და მამაცობა, რომ თაეის ვაჭკაცობა დაჩაგრულების და გაჭირვებულების საშველად გამოიყენოს, და არა იმისთეის, რომ მოისეენოს და უდარდელად იცხოვროსო. სამაგიეროდ ჯილდოსაც კარგს უმშადებ-და მამა-ზეევსი თაეის საყვარელ შეილს. თუ იყო მოთმინებით აი-ტანდა ყოველს შრომას ბოროტ ადამიანებთან ბრძოლაში, ბოლოს მიღებული იქმნებოდა ლმერთთა კრებულში და იქ დაიმკიდრებდა ბედნიერ ცხოვრებას. და მართლაც ეერ შესძლო ჰერაკლიმ დიდხანს უსაქმურად ყოფნა, ხელ-ახლად გამოვიდა ასპარეზზე და შეუდგა საქმიან ცხოვრებას.

ალ. ჭიჭინაძე

## • ნ დ რ ო

(ფრანგულიდამ)



ნდრო სახლში მარტო დაარჩინეს და როდესაც  
 იმას სახლში მარტო დაარჩენდნენ ხოლმე, უთუოდ  
 იქმაკებდა და მოახდენდა რასმე.

ანდრომ დაუწეო სახლს ჩხრება, კუთხე აღარ დაჭრია  
 მოუნახავი. ფიქრობდა, ჰირის გასაცმაცუნებელ რასმე ვი  
 პოვი და გემოს გავიდებო: ანდრო დიდი მსუნავი და  
 დორმუცელა იუო, ამაში იმას ბაზალი  
 არავინ ჰეავდა.

მარტო ისელა თუ არა თავი, აცოცდა  
 კიბეზედ და არც ერთი თარო არ დააგდო  
 გაუჩხრებავი. იძენი ემება ანდრომ, რომ  
 ბოლოს წააწევდა რძით სავსე დიდ უკუ  
 რიან ქოთანს.



მოახლეს განგებ მიემალა,—რა არის, კატა, და უფრო  
 ანდრო, არ მისწვდომოდა და არ ჩამოეგდო ეს ქოთანი.

მაგრამ, როგორც სედავთ, ანგარიში  
 ქექმლოდა: ანდრომ ჩამოიღო ქოთანი.



რა შევენივრად ისაუზძებდა! ბედზედ  
 ცეცხლიც გაჩაღებული დაუხვდა.

ანდრომ რძე ფრთხილად ქვაბში გადა  
 დო და ცეცხლზედ დადგა ასაღებებლად.

რმე ცოტად შეთბა და მშვენიერი სუნი აუშვა. პნერილ  
ადრეს სტკბებოდა საუზმით, ტუჩებს აცმაცუნებდა, ნესტოებს  
იბერავდა, რომ უფრო ქარგად ეგრძნო რძის მშვენიერი სუნი.

რმე გაცხელდა, ზემოდამ მოუვითანო  
ნაღები მოიგდო, მაგრამ ანდრო იცდის.  
უნდა, რომ უფრო მეტი ნაღები მოიგდოს.

ანდრო რომ სუნით სტკბებოდა, აღუ-  
ღებულმა რმემ დაიწუო გადმოსვლა.  
ავიდა ქვაბს მაღლა, ავიდა, მერე ქვაბ-  
ზედაც გადმოვიდა.

რძას ევითელი ქაფიც ბურთივით მაღლა ავიდა, სულ  
მაღლა ავიდა... აღარც ქვაბი სხანს, აღარც ცეცხლი.

ანდროს პირზედ ნერწევი გაუშრა, ვე-  
ღარა მოახერხა რა, აცოცდა კიბეზედ, სულ  
მაღლა საფეხურზედ დაჯდა და იქიდამ ნაღვ-  
ლიანად გადმოიუწეობოდა; უცემდა, რძის  
ევითელი ქაფი მაღლა როგორ ადიოდა,  
ადის და იმის ასვლას ბოლო აღარა აქვს....

ამ დროს მოახლეოც შემოუსწორო.





## მ ა მ ა ლ ი და მ ე ლ ი ა

**კ**რთხელ მამალი, გარშემოხეული ქათმებით, ერდოზედ შემომჯდარიყო და იქიდამ გადმოიყურებდა.

მელია აქეე, ახლო-მახლოს დაცუნცულებდა, მამალს თვალი შეასწრო, მიეიდა და შესძახა:

— ჩემო გულის-მურაზო და მეგობარო, იცი ახალი აშბაეი?  
— რა აშბაეი? — ჰეითხა მამალმა.

— ისეთს აშბაეს გეტუყი, რომ ძალიან გიამოს: დედა-მიწაზედ რაც-კი ცხოველია, ფრინველი და ოთხ-ფეხი, წყალში მოუყრაეი, თუ დედა-მიწაზედ მოსიარულე და ქვემდრომი, — ყველამ ერთხმად პირობა დასდეს, ტკბილად, ძმურად ეიცხოვეროთო.

„ფიცს, რასა კვირველია, არაენ გასტეხს: — მერწმუნე, მამენდე და ძირს ჩამო შენც შენი ქათმებით, მოეგეხიოთ ერთმანეთს მეგობრულად და ერთად ტკბილად ეიცხოვეროთ, როგორც შეჰვერის ძეელ ნაცნობებს და კაი მეზობლებს.

„ჩამოლით ძირს, მე კიდევ სხვა ახალი აშბაეი მაქს სათქმელი, — იმის გაგონებაზედ სიხარულით ხომ ფრთას-ფრთას შემოჰკავთ.

— შეწმა მოტანილმა აშბაემა მართლა რომ ძალიან გამახარა, უთხრა ღინჯად მამალმა.

— მაშ ჩამოლი რაღა?

ერთს წუთს დამაცა, — სთქეა მამალმა და გზისკენ გაიხედა, — აი იქ ვიღაცა მოახანს!

— ეინ მოახანს?

— შორიდამ ექციოდე ძალლი მორბის ჩეენკენ. უთუოდ მაგ ახალ აშბის სათქმელად მორბიან. აბა მაშინ იქმნება ჩეენი მხიარულობა! მე თქვენ ხევენა-ალერსის მოწმათ ვიქმნები.

მელიამ გაიგო თუ არა ეს, იმავე წაშს ისე მოჰურუბზლა, რომ დედა-მიწას ფეხს არც-კი აკარებდა.

**ე**რთი დედა-ბატი კვერცხებზედ მჯდარა და უეცრად აეად გამხდარა. თავი სასიკვდილოდ უვრდენია, შექშინებია, შეილებს ვინ გამომიჩევსო, და ლახლახით წამოსულა, მოუძებნია ერთი სხვა ახალგაზდა (მამალი) ბატი, ყურში თითქოს რაღაც ჩაუჩურჩულებია, ამის შემდევ ის მაშინვე მისულა და აეადმყოფის მაგიერად კვერცხებზედ დამჯდარა.

დედა-ბატი გვერდიდამ არ მოშორებია, სანამ მეორე დღეს სული არ ამოსელია.

### ბ ე რ ა - ბ უ რ თ ი

(თამაშობა)

**მ**ოთამაშე ბაეშვები ჩეეულებისამებრ ორ თანასწორ გუნდად განიყოფებიან. შემდევ კენჭს ჰყურიან და ვისაც ამ ორ გუნდს შორის შეხედება თამაშობა, ის იწყებს. მოთამაშე გუნდი ადგილზე რჩება. იშორის დიდ პრტყელ-ზურგიან ქვას ანუ აგურს, ააყუდებენ ერთ ადგილას ნიშნად, ანუ „ბერად“, და ყველანი მოუდებიან მას გვერდით. მეორე გუნდის ბაეშვები „ბერას“ გაშორდებიან ასე 50 – 60 ნაბიჯის მანძილზე.

გამოეა პირველ გუნდიდამ ერთი მოთამაშე, აიღებს ბურთს და, როგორც მიღებულია, გაჰქრავს მეორე გუნდის მოთამაშეებისკენ. ეს უკანასწერები ამ დროს უეჭველად ცდილობენ ბურთი ჰაერშივე დაიჭირონ. და მიწაზედ არ დაუშვან. ესთქვათ, ჰაერშივე დაიჭირეს: ჩაშინ ბურთის გამომსროლელი „გაჭრილი“ შეიქმნება, ჩამოერთმევა უფლება, რომლის ძალითაც მას ზედი-ზედ თორმეტჯერ შეეძლო ბურთის გასროლა, და გადგება განზედ, რომ ამხანაგს დაუთმოს ადგილი.

ბურთს მეორე გუნდი პირველს გადმოუგდებს. გამოეა ახლა მეორე ბაეშეი და იმ გვერადევ გაჰქრავს ბურთს. ესთქვათ ბურთი ვერ დაიჭირეს და მიწაზე დაეცა: მაშინ ბურთის ამღებს დარჩება მეორე საშეალება მსროლელის „გაჭრისა“, სახელლობრ, ბურთს და-



უმიზნებს „ბერას“, მიწა-მიწა გააგორებს ისე, რომ მიზანს მრთვულყოფილი კიდევ. თუ მოარტყა, მაშინ მსროლელი ისევ გაჭრილად ჩაითვლება და უთმობს აღვილს მესამე ამხანაგს; თუ კიდევ ბურთი „ბერას“ ააცდინა, მაშინ მსროლელი გამარჯვებულად ჩაითვლება და სროლას განაგრძობს, ეიდრე არ გაიჭრება; მხოლოდ თორმეტჯერ გასროლის შემდეგ, თუნდაც არ გაიჭრას, თამაშობა უსათუოდ შეძეგს უნდა დაუთმოს.

ამ გერად ბურთი გადადის ერთი ბავშვიდგან მეორესთან, ეი-დრე ყველა ჩამოირიგებდეს. როცა უკანასკნელი მსროლელი გაიჭრება, ანუ თავის თორმეტს გასროლას უხიფათოდ შეასრულებს, მეორე გუნდის ბავშვებმა უნდა დაიჭირონ პირველების ადგილი და პირველებმა მეორეებისა. მხოლოდ ადგილების შეცვლის დროსაც აი რა არის საჭირო:

მეორე გუნდის ბავშვები თავის ადგილას ერთად შეგროვდებიან, მერე ყველანი გამოიქცევიან ძახილით: „წიაწო! წიაწო! წიაწო!...“ და უსუნთქებლივ ცდილობენ მიაღწიონ „ბერამდე“. რომელი მოთამაშეც გზაში ამოსუნთქვით „წიაწო“-ს ძახილს გასწყვეტავს, იმას იქვე შეაჩერებენ პირველი გუნდის ბავშვები, რომლებიც ამას თვალს ადერნებდნენ, და უკანვე დააბრუნებენ; მხოლოდ მანძილი გაკრულ-მა ბურთმა უნდა აღნიშნოს: ერთი ბავშვი გაჭრას ბურთს და სა-ცა დაეცემა, იქ ბრუნდება „წიაწო“-ს შემწყეტელი, რომ ხელ-მეორედ ძახილით უსუნთქებლივ „ბერას“ მიაღწიოს. როცა მეორეები დადგენებიან „ბერასთან“ და პირველები მათ ადგილას, თამაშობა ხელ-მეორედ იწყება.

ეინც ისე გაჭრას ბურთს თორმეტჯერ ზედი-ზედ, რომ არც ერთხელ არ გაიჭრება, ყველაზედ ძლიერ გამარჯვებული ის არის. მომეტებულ ნაწილად იმარჯვებს მკლავ-ლონიერი ბავშვი, რომელიც ისე შემოსრულყორცის ბურთს, რომ მეორეები დაჭრას ვერ ახერხებენ ან, თუ გამოგორება შეხდათ, „ბერას“ ვერ არ-ტყავენ.



## ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(თ. რაზიკაშვილის წარმოდგენილი)

1. გიქს ნურც ეტყეი, ნურც ათქმევინებო.
2. უსინიდისო ვირჩედ იჯდა, აჩის ეუბნებოდაო.
3. შენი კარი გაალე, სხეისაც ლია დაგრჩებაო.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(თ. სახოკიას წარმოდგენილი)

ჩემი პატარა ფინია,  
ჩემი სუფრა და ლხინია.  
სულამც მას ენაცვალოსა, —  
ჩემი ცოლი და შეილია.

შეიდი ფიცარი, შეიდად შეკრული, —  
ეერც მე გაეხსნი, ეერც შენ გახსნი,  
ეერც გიორგი ნეფის შეილი.

(თ. რაზიკაშვილის წარმოდგენილი)

ერთი თხა მყაედა ელაო,  
მხარზე გაედო ენაო;  
იმისი ნათქვამ-ნაქნარი  
ქვეყანას დაეჯერაო.



օյնոտ ցռհաս յուրի զոյս,  
այբոտ ցռհաս Շաբարդենի,  
Շոյս եռեռն համուտորոս:  
— մացատ եղլթո հայրարդենի;  
մռմյուլեն, ալարպ-յո Շըմքամեն,  
սակմելուու դաշտարդեն.

## Գ Բ Տ

(Յ. Ըլլոնց Քարմուգյենուն)

ոնքից կոյնոտ դալլյա,—  
դամթյա դուժմա Տորլիքունիս.

## Տ Ա Մ Ա Տ Ե Ժ Ա Ց Ի Կ Թ Հ Ա Մ Ռ Ա Ն Ե Ծ Ո

ռհնո Շըմքլյունեն կայրլիքն. յրտմա ստեռնա մյուրեյս:—մռմյ  
յրտո կայրլիքն դա մյու օմլյենի մյյմենիս, համլյենու Շենա ցայեսո.  
— ահառ,—ստեռնա մյուրեմ, Շեն մռմյ յրտո կայրլիքն դա մա-  
Շոն մյ Շենթյել յրտո-ռհնաւ մյուրո մյյմենիս.

ցամուսանոտ, համլյենի կայրլիքն էյոնդա տոտոս?

յրտս կալս ցիշո մտեռցարս Շենեւա դա մռմյալյենա ցանլո,  
մուսւա օմու նաեցարո, հալս չունեմո ույլո էյոնդա, դա կուլյա նաե-  
ցար կապույտ մյուրո.

Պարուրա Տանս սյան Շենեւա մյուրյ մտեռցարս, ամասալս, հալս  
ույլո դարիս, օմու նաեցարո մուսւա դա կուլյա մյուրո նաեցար  
կապույտ.

մյուրյ մյուսամյ Շենեւա դա ամասալս օմուլյենի մուսւա. ծուլոս, հո-  
գուսալս մյուռե մտեռցարս Շենեւա, ծյուրո յմենա չունեմո ույլո, մաց-  
համ ցըրս ուռու հա.

ցամուսանցարոնի մյուր, համլյենի ույլո էյոնդա դա տոտոս համլյ-  
ենի մուսւա?

მტრედები მოფრინდნენ და ხეებზედ დასხდნენ დასასევენებლად.  
ყველა ხეზე თითო მტრედი დაჯდა — და ერთ მტრედს ხე ალარ დარჩა;  
მერე ორ ორი დასხდნენ — და ახლა ხე უმტრედოდ დარჩა.


რამდენი მტრედი იყო და რამდენი ხე?

### გამოცანას აუზუმრობა

ერთი ბოთლი წითელი ღვინო ხუთ შაუჩადა ღირს, — აბაზია-  
ნი ბოთლა თეთრი ღვინო რამდენი-ლა ელირება?

აიღეთ ოხუთმეტი ჩინჩი და დაწყეთ ისე, რომ გამოვიდეს ხუ-  
თი თანასწორი უჯრა, როგორც სურათზეა ნაჩვენები.

ესლა მოაშორეთ სამი ჩინჩი ისე, რომ მხოლოდ სამი, თანასწო-  
რივე, უჯრადა დარჩეს.





### გარადა

(ლუარსაბ ციციშვილის შედგენილი)

პირველი ჩემი ნაწილი  
ჰქვიან — ეინც არის შშობელი;  
მეორე არის ხან ტკბილი,  
ხან მეზობლისა მგმობელი;  
ხოლო ორივე ერთად-კი  
ისეთს გვიჩვენებს სახელსა,  
რომელიც უყვარს ყოველთვის  
ეით მთიელს, ისე ბარელსა.

## რ ე ბ უ ს ი



## მ ე - IV № - ის გ ა მ თ ც ა ნ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

1) ქარი, 2) ნარდი, 3) წისქეილი, 4) ბზე.

ყ მ ა : მუხა, წაბლი, თხილი, ბია, წიფელა — ხე.

ს ა მ ა თ ე მ ა ტ ი გ ა გ ა მ თ ც ა ნ ა : 1) თავდაპირუელად სულ 33 ბატი ჭოფილა. — 2) პირუელ ძმას მიესცეთ 10 ორ-ორ ციკნიანი თხა, — სულ შეხედება 30 სული. მეორეს მიესცეთ 5 თითო ციკნიანი და ხუთიც სამ-სამ ციკნიანი. ამასაც შეხედება 30 სული. მესამესაც და-ნარჩენები; ამასაც 30 სული შეხედება. ახსნა სხვა გვარადაც შეიძლება.

შ ა რ ა დ ა : იასამანი.

რ ე ბ უ ს ი : სოფელი ენახე უძალლო, შიგ გაეიარე უჯოხო.

გამოცანა და რებუსი ახსნა სონა ქუთათელაძისამ (ხონი-დამ), შარადა — მარო ქუთათელაძისამ (ხონიდამვე), ზმები — ფა-ტი ღ ლ ა ნ ტ ი მ და სამათემატიკო გამოცანები — ქუთაისის გიმნა-ზის მეოთხე კლასის მოწაფემ გორგი ჯ ა ყ ე ლ მ ა.

— ა წ ე დ ა ქ ე რ ი რ ი გ ა მ თ ც ე მ ე დ ი ა ნ . თ უ მ ა ნ ი შ ვ ლ ი ს . წ ე —